ევროპული ოჯახისკენ სწრაფვა სულაც არ ნიშნავს ეროვნულ ღირებულებებზე უარის თქმას!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყვიოებით და ჯორებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაბაგლესია.

მაგ. ...

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 18 ივნისი. 2019 წ. №121 (8787) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ნაბ ღვთისა, ნაბ ეროისა!

არაერთ ძალას სურს, ლგბტ მცირე ჯგუფი გამოიყენოს გარკვეული მიზნებისთვის, იკვეთება პოლიტიკური ორიენტირებიც და ეკლესიის სახელის შელახვის სურვილიც

საქართველოს საპატრიარქომ, გრძნობდა რა დაძაბულობის საშიშროებას, რამდენიმე დღის წინ გააკეთა პრევენციული განცხადება, დღეს უკვე ნათელია, რომ ე.წ. ლგბტ პრაიდის ჩატარებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში მღელვარებაა; ნათელია ისიც, რომ არაერთ ძალას სურს, ჩვენთან არსებული ლგბტ მცირე ჯგუფი გამოიყენოს გარკვეული მიზნებისთვის. ამ მიზნებში პოლიტიკური ორიენტირებიც იკვეთება და ეკლესიის სახელის შელახვის სურვილიც, — ამის შესახებ განცხადებას საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.

„ფაქტია, რომ სურთ ამ აქციის ჩატარება ისეთ გარემოში, სადაც სხვადასხვა ეთნოსისა და აღმსარებლობის მოსახლეობისთვის ეს ქმედება უზნეობად და ღირსების შელახვად მიიჩნევა და აჩენს სამართლიან პროტესტს ტრადიციული ღირებულებების დამცველ ადამიანებში.

როდესაც ლაპარაკობენ გამოხატვის თავისუფლებაზე, რატომღაც არ ამბობენ, რომ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო კანონმდებლობით ეს თავისუფლება, როგორც არააბსოლუტური, შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ეწინააღმდეგება ქვეყანაში არსებულ მორალურ ღირებულებებს და ქმნის რეალურ საშიშროებას ხალხში დაპირისპირებისა და შფოთისათვის. ხელისუფლების ვალია, მიიღოს ზომები ქვეყანაში სიმშვიდის დასაცავად. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია და დღესაც ვაცხადებთ, რომ ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას, ძალადობისაკენ მოწოდებას და სიძულვილის ენას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს.

ხაზგასმით გვინდა, აღვნიშნოთ ისიც, რომ ლგბტ ჯგუფების აქტივობების ორგანიზატორები და ხელშემწყობნი, ჩვენი აზრით, იმ ძალების წისქვილზე უშვებენ წყალს, რომელნიც ქვეყნის დასავლურ ორიენტაციას ეწინააღმდეგებიან.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოში აკრედიტირებული საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები გაითვალისწინებენ ამ რეალობას და მათი ძალისხმევა ხელს შეუწყობს სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილებას.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არაერთხელ განუცხადებია თავისი მხარდაჭერა ქვეყნის დასავლურ ორიენტაციასთან მიმართებაში, რადგან ვიცით, რომ ერთიანი ევროპული ოჯახისკენ სწრაფვა არ ნიშნავს ეროვნულ ღირებულებებზე, ტრადიციებზე, თვითმყოფადობაზე... უარის თქმას. მოვუწოდებთ პროცესში ჩართულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ნუ დაუკარგავენ ამ განწყობას საქართველოს მოსახლეობას“!..

ლგბტ თემის წინააღმდეგ ლეგიონი შეიქმნა

ვერის პარკში ლევან ვასაძის მიერ დაარსებულ ლეგიონში დაჯგუფების წევრების რეგისტრაცია მიმდინარეობს. დაჯგუფების წევრების თქმით, ისინი „თბილისი პრაიდის“ ჩასაშლელად ყველაფერს გააკეთებენ.

„ბევრი ქართველი გამოვა ამ ბოროტების, გარყვნილების და ავადმყოფობის წინააღმდეგ... ამ ყველაფერს სიმბოლური დატვირთვა აქვს. რომ დავიცვათ ჩვენი უფლებები, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები, ჩვენი შვილების და შვილიშვილების ბედნიერი მომავალი მშვიდობიანი ფორმით. წამოვიდნენ, გადაგვიარონ, ჩვენ არავისთან არ მივდივართ და არ გადავუვლით“, — აღნიშნავს დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი.

„გამოძიების“ შემდეგ, ალბათ, ლევან ვასაძეს მადლობას მოუხდიან!

ბიზნესმენ ლევან ვასაძის განცხადებაზე, რომ ის დაჯგუფებებს შექმნის და დაუპირისპირდება ყველას, ვინც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია ან მათ უფლებებს იცავს, შს სამინისტრო გამოძიებას იწყებს.

„უკანონო ფორმირების შექმნის, ხელმძღვანელობის და მასში გაწევრიანების ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ დაუშვებელია, კანონიერი სახელმწიფო სტრუქტურების შემცვლელი ნებისმიერი წარმონაქმნის შექმნა, მისი ხელმძღვანელობა, მასში გაწევრიანება ან მისი შექმნისკენ მოწოდება. ამასთან, ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა კანონით მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციაა. შესაბამისად, როგორც პოლიციის, ისე სხვა სახელმწიფო უწყების ფუნქციის შესრულების ნებისმიერი მცდელობა დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი. ძალადობის, პოლიციის მიმართ დაუმორჩილებლობის და კანონის დარღვევის თითოეულ ფაქტზე სამინისტროს ექნება შესაბამისი რეაგირება. გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება და მოხდება შესაძლო დანაშაულის ჩამდენი თითოეული პირის ქმედების სამართლებრივი შეფასება“, — ნათქვამია შსს-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კაცები გადამალეთ, ③ პედერასტები მოდიან!!!

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ ვალდებულებების შესრულება 2019 წლის ბოლომდე გადაუვადდა

მთავრობამ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება კიდევ ერთხელ, 2019 წლის ბოლომდე გადაუვადა. გადაწყვეტილება მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მიიღეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა სხდომის დაწყებამდე ბრიფინგზე განაცხადა, ვადებთან დაკავშირებით საუბარი ფინანსურ ინსტიტუტებთან ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში შედგა.

„ჩვენ ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში, ფინანსურ ინსტიტუტებთან შეხვედრისას შევთანხმდით, რომ კონსორციუმი მოახდენდა ინფორმირებას იმ ვადებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება დასჭირდეს ინვესტორების მხრიდან ფინანსური ნაწილის დასახურად. შედეგად, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და კონსორციუმს ვალდებულებების შესასრულებლად ვადებს წლის ბოლომდე გავუხანგრძლივებთ“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურმა ასევე ყურადღება გაამახვილა ქალაქ სიეტლში, ანაკლიის პორტის ოპერატორ კომპანიასთან გამართულ შეხვედრაზე. მამუკა ბახტაძის თქმით, SSA MARINE-თან შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი და შედეგებზე ორიენტირებული იყო.

ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობა გაღრმავდება!

აშშ-საქართველოს ახალი სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციის ოქმში ასახულია ყველა ის პრიორიტეტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო მაღალ, ხარისხობრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ ურთიერთობები ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბრიფინგზე, აშშ-ში ვიზიტის შეჯამებისას განაცხადა. მთავრობის მეთაურმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს ნაყოფიერი უწოდა და აღნიშნა, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობა არის ახალ დონეზე და ამ ვიზიტის შედეგად საქართველოს ახალი შესაძლებლობები გაეხსნა.

„ჩვენ ერთობლივად აღვნიშნეთ საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის 10 წლისთავი. შევაჯამეთ განვლილი გზა, ის რეფორმები, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით გავატარეთ. ის შედეგები, რომელიც გვაქვს ეროვნული უსაფრთხოების, სამხედრო თანამშრომლობისა და ყველა სხვა მიმართულებით, რაშიც ჩვენ ჩვენი ამერიკელი კოლეგები გვეხმარებიან. ამასთან ერთად ჩვენ მივიღეთ ერთობლივი დეკლარაცია, სადაც ავსახეთ ის ერთობლივი პრიორიტეტები და ამოცანები, რომელიც უნდა იქნას მიღწეული. დოკუმენტი თავისი შინაარსით არის კონკრეტული, შედეგებზე ორიენტირებული და ამავე დროს საკმაოდ ამბიციური“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ

ვიზიტის ფარგლებში შედგა ნაყოფიერი პოლიტიკური შეხვედრები, მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან, სადაც საუბარი შეეხო ყველა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის რუსულ ოკუპაციას და იმ აგრესიას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია საქართველოს მიმართ ახორციელებს.

„დეკლარაციის დიდი ნაწილი მიეძღვნა ეკონომიკურ თანამშრომლობას. ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები უსაფრთხოების მიმართულებით. დოკუმენტი თავისი შინაარსით ძალიან მნიშვნელოვანია. მასში გამოიკვეთა პირველად ხედვა, რომ სწორედ საქართველოს აქვს პოტენციალი, რეგიონში იყოს ეკონომიკური ცენტრი. მოვისმინეთ ასევე ძალიან ძლიერი გზავნილები საქართველოს მზარდ როლზე. ამავე დროს, მნიშვნელოვანი ფოკუსი გაკეთდა შავი ზღვის უსაფრთხოებაზე. ჩვენ ბოლო პერიოდის განმავლობაში ძალიან აქტიურად ვმუშაობდით, რომ დასავლეთში ჩვენი პარტნიორებისთვის მიგვეტანა გზავნილი, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების გარეშე წარმოუდგენელია ნატოს სივრცის უსაფრთხოებაზე საუბარი. დღეს შავი ზღვა აშშ-სთვის არის პრიორიტეტი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს უსაფრთხოების სისტემების გაძლიერების კუთხით“.

პრემიერის თქმით, მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო ასევე ვიზიტის ეკონომიკური ნაწილი, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები ყველა წამყვან ამერიკულ კომპანიასთან.

„გვქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრები სან ფრანცისკოში, კერძოდ, სილიკონ ველიში. ჩვენი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, რომ სწორედ საქართველო უნდა გახდეს რეგიონის ეკონომიკური, ტურიზმის, განათლებისა და ინოვაციების ცენტრი. სწორედ ამ მიზნით გვაქვს ინიცირებული ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტში იხილება. კერძოდ, ეს არის უპრეცედენტო საგადასახადო რეჟიმი იმ კომპანიებისთვის, რომელიც ოფისებს საქართველოში გახსნიან და საქართველოდან განახორციელებენ ბიზნესს. ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ საქართველო გახდება უახლოეს მომავალში აშშ-სთვის და ამ შემთხვევაში სილიკონ ველისთვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების საყრდენი“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ. მთავრობის მეთაურის თქმით, გაიმართა მნიშვნელოვანი შეხვედრები საინვესტიციო ფონდებთან ქალაქ სიეტლში, ასევე მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა დალასში, კომპანიებთან, რომლებიც ენერგეტიკისა და ტურიზმის განვითარებაზე არიან ორიენტირებულები.

„ცალკე მინდა, გამოვყო მნიშვნელოვან ფორუმში მონაწილეობა, რომელიც ქალაქ მონრეალში შედგა. ჩემი დავალებით, ჩვენ კანადასთან ვმუშაობთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებაზე, რომელიც, იმედი მაქვს, წლის ბოლომდე გაფორმდება. ეს არის საინვესტიციო საქმიანობის მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ ხელშეკრულება. ეს იმის საფუძველს მოგვცემს, რომ მეტი ინვესტიცია მივიღოთ კანადის მზარდი ეკონომიკიდან. მსურს, განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რომ ჩვენს ეროვნულ იდეას — განათლებას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჩვენს პარტნიორებში როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურების დონეზე“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

„ოქროს სიის“ შეღავათების გაუქმება გარდაუვალია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, „ოქროს სიის“ შეღავათების გაუქმებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს. ეს საკითხი ჯერ კიდევ ორი წლის წინ იყო წამოჭრილი, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან.

„ეს გაკეთდება ისე, რომ ბიზნესისთვის ნაკლებად მტკივნეული იქნება. შესაბამისად, ამოცანა ასე დგას, გადაწყვეტილება აუცილებლად იქნება მიღებული, მაგრამ ბიზნესთან კონსულტაციის შედეგად“.

პრობლემა ნამეტნავად გაზვიადებულია!

ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში და როდესაც არის ნიშნები, რომ სამართლის დარღვევას აქვს ადგილი, ბუნებრივია, მას მოჰყვება შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა სამართლებრივ ჩარჩოებში, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ. პრემიერის თქმით, საქართველოში გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციით, მაგრამ ამავე დროს, როგორც ბახტაძემ აღნიშნა, სახელმწიფომ ნებისმიერი მოქალაქის უსაფრთხოება უნდა დაიცვას.

„ბოლო დღეების განმავლობაში რაც ვიხილეთ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები არიან მოწოდების სიმაღლეზე. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს პოლიციელებს. მათ შეძლეს ძალიან მნიშვნელოვანი ბალანსის დაცვა, თუმცა აქვე მინდა გითხრათ, როგორც რიგითმა მოქალაქემ ჩემი შთაბეჭდილება — ვფიქრობ, ეს საკითხი არის ხელოვნურად თავსმოხვეული ქართველ საზოგადოებაზე და ემსახურება იმას, რომ საქართველოში იყოს აგრესიული პოლიტიკური დღის წესრიგი. არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი საქართველოში დღეს არის პრობლემური, საქართველოს აქვს შესაბამისი კანონმდებლობა, თითოეული ადამიანის უფლებები არის დაცული. ჩემი აზრით, ხდება ამ პრობლემის გაზვიადება, თავზე მოხვევა საზოგადოებისთვის, ვინაიდან გვაქვს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, სადაც თითოეული ადამიანის უფლება არის დაცული და ამას უზრუნველვყოფთ. პრობლემები და გამოწვევები რაც საქართველოში, ეს არის ოკუპაცია და სიღარიბე. სჯობს, მთელი საზოგადოება ვიყოთ ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული. საქართველოში არის გამოხატვის უფლება უზრუნველყოფილი ისევე, როგორც უზრუნველყოფილია უსაფრთხოება და სახელმწიფო ინსტიტუტები ამას ახორციელებენ ძალიან მაღალ დონეზე“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რუსული გავლენები და მათი თავიდან აცილების გზები...

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რუსულ გავლენებსა და მათი თავიდან აცილების გზებზე ქართველი ექსპერტები ამერიკელ და ევროპელ კოლეგებთან ერთად მსჯელობენ. კონფერენცია, რომელიც თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება, ოთხ ძირითად მიმართულებად დაიყო, ესენია: რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენები, სამხედრო, ჰიბრიდული გავლენები, კულტურა, ნორმები და ფასეულობები, როგორ ვუპასუხოთ გამოწვევებს.

როგორც რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მრჩეველმა ჯეფრი მანკოფმა განაცხადა, იმის გაცნობიერება, თუ რა როლს თამაშობს რუსეთი რეგიონში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პრობლემაა საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის.

„თუ შეხედავ საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებას, შეგიძლია, გააკეთო გარკვეული დასკვნები. ზოგადად რუსეთი არის მტრულად განწყობილი ევროკავშირისა და ნატოსადმი. მემარჯვენე ჯგუფებს აერთიანებთ ევროსკეპტიციზმი, ბევრი მათგანი ანტიამერიკულია. თუ ისინი დაფუძნებულები არიან სხვადასხვა იდეოლოგიაზე, მათი შეხედულება ევროპაზე რუსეთის ხედვას ემთხვევა. ღიად რომ ვთქვათ, ზოგიერთი მათგანი უბრალოდ იყენებს მომენტს, მათ სურთ თანამშრომლობა რუსეთთან და რუსეთისგან ფულის მიღება“, — განაცხადა ჯეფრი მანკოფმა.

„რუსთავი-2“-ის დამფუძნებლების ქონებრივი უფლების იძულებით გადაცემის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები არ არსებობს!

— ამის შესახებ ნათქვამია გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლების ქონებრივი უფლების იძულებით გადაცემის ფაქტზე გამოძიება გრძელდება და ამ ეტაპზე მისი შეწყვეტის საფუძვლები არ არსებობს გამომდინარე იქიდან, რომ ფაქტზე მიმდინარე გამოძიება სხვა ეპიზოდებსაც მოიცავს. **„ასევე საგულისხმოა, რომ საქმეში სხვადასხვა ეპიზოდების ერთიანობა და მათი ქმედებების დანაშაულებრივი შეფასება უზრუნველყოფს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას“,** — ნათქვამია განცხადებაში.

„სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლების მიერ 2004 წლის 16 ივნისს ქონებრივი უფლების იძულებით გადაცემის ფაქტზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო 2012 წლის 8 დეკემბერს, დავით დვალის და ჯარჯი აქიმიძის განცხადების საფუძველზე. 2015 წლის 14 თებერვალს დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა. საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით ან იარაღის გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი ინფორმაციის და მტკიცებულებების მოპოვება გაართულა ფაქტზე 8 წლის შემდგომ გამოძიების დაწყებამ. შესაბამისად, ამ დრომდე სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საჭირო სტანდარტი“, — ნათქვამია განცხადებაში.

მაია ცქიტიშვილი: შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ამ ეტაპზე არანაირი სამთავრობო ცვლილებები არ იგეგმება!

— ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, მიიღოს ნებისმიერი სახის საკადრო გადაწყვეტილება. ცქიტიშვილის განცხადებით, თუ ასეთ საკადრო გადაწყვეტილებას პრემიერი მიიღებს, ამის შესახებ საზოგადოებას ეცნობება.

კაცები გადამალეთ, პედერასტები მოდიან

ბოლო **რამდენიმე დღეა, დიდი ვნებათაღელვაა ქართულ მედიასა და პოლიტიკურ სივრცეში.**

დიდი ვნებათაღელვა, მაგრამ გაგიკვირდებათ და, არა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არა რევანშისკენ მიმავალ მოძალადე პოლიტიკურ ძალაზე, არა „კეთილი მეზობლებისგან“ ქართული ისტორიული ძეგლების ხელყოფაზე, არა პოლიტიკურ სივრცეში უცებ გაჩენილ „მეცამეტე გოჭებზე“, არამედ ნორმალური ქვეყნის ნორმალური მოქალაქეებისთვის ყოვლად უცნაურ და გაუგებარ თემაზე — უნდა ჩატარდეს თუ არა თბილისში ლგბტ პრაიდის აღლუმი.

დიახ ნამდვილად უცნაურია, რადგანაც ამდენი ყოფითი, თუ პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, მთელი ერი და ბერი აღდგა ვიღაც გასაცოდავებული არსებების წინააღმდეგ და მთელი თავისი ძალა და ენერგია ნაცვლად იმისა, რომ თუნდაც დაცარიელებული სოფლების აღდგენისკენ წარმართოს, რუსთაველის გამზირზე უკანალის თამაშით დასავლეთიდან გრანტების მომპოვებელი ნახირის წინააღმდეგ წარმართა.

ნამდვილად არ ვაპირებდი, რაიმე ყურადღება დამეთმო ამ უსქესო, უჯიშო, ურწმუნო არსებებისთვის, მაგრამ განვითარებულმა პროცესებმა სამწუხაროდ, არაადეკვატური სახე მიიღო და მოსახლეობა საკმაოდ დაიბნა თავის არჩევანში. დაიბნა რადგანაც ხალხი პედერასტებს ვერ იტანს, მაგრამ მათ წინააღმდეგ მებრძოლმა აქტივისტებმა, ისეთი გაუაზრებელი განცხადებები გააკეთეს, რომ სამოქალაქო არეულობის საფრთხე საკმაოდ ახლოს გამოჩნდა.

სამწუხაროდ, არც ხელისუფლებას და პატრიოტთა ალიანსს, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს და 15 ივნისს თავისუფლების მოედანზე 70000-კაციანი აქცია ჩაატარა, ჯერ თავისი პოზიცია არ დაუფიქსრებია (ვიმედოვნებ, რომ ამ წერილის გამოსვლამდე ირმა ინაშვილი გამოხატავს თავის პოზიციას).

ამიტომ იძულებული გავხდი, რომ გამეკეთებინა მცირე კომენტარი ვიღაცების ჭუჭყიანი უკანალებისა და მათი მწმენდავების „შესაფასებლად“.

ინტერნეტ სივრცეში ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები წავიკითხე. ზოგი მკაცრია, ზოგი „ტოლერანტული“, ზოგიც კი „ფეხებზე დაიკიდეთო“ — გვასწავლის...

უბრალოდ მინდა, ვთქვა, რომ ჩვენ რაც არ უნდა ვწეროთ, ან ვიბობოქროთ — „გავატაროთ“, თუ „ჩავქოლოთ“, არაფერი გამოვა, თუ ხელისუფლებამ მკაფიოდ არ თქვა ის, რაც უნდა თქვას.

1. ხომ ეთძვათ უარი იმ რაღაც „პრაიდის“, თუ „ჯოგის“ ჩატარებაზე? 14 ივნისს ხომ დაარღვიეს ეს აკრძალვა?

ჰოდა, შსს-სთვის მეტი რაღა შეკითხვა უნდა არსებობდეს? კანონმა უნდა იკანონოს და პროვოკატორები მაშინვე უნდა მიებრძანებინათ იქ, სადაც ეკუთვნოდათ. ამ შემთხვევაში ლევან ვასაძის აქტიურობა და ვერის ბაღში გაკეთებული განცხადებები, აბსოლუტურად არასაჭირო იქნებოდა.

2. კანცელარიასთან „შეკრებას“ ლაიტმოტივად ჯოგის (ამის შემდეგ მე ამ არსებებს „პრაიდის“ ნაცვლად „ჯოგს“ ვუწოდებ) ის მიმართვა დაედო, რომელშიც ილაშქრებდნენ საპატრიარქოს წერილის წინააღმდეგ. საპატრიარქოს კი ზუსტად ისე, როგორც სხვას, კონსტიტუციით აძვს გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება.

ამიტომ ჯოგის შეკრება იყო სხვა ადამიანების კონსტიტუციური უფლების წინააღმდეგ გალაშქრება.

აი, ეს უნდა ეთქვათ უმრავლესობის იმ დეპუტატებს, რომლებიც სხვადასხვა ტელეეთერებში კეკლუც კომენტარებს იძლეოდნენ (ამ შემთხვევაში მხოლოდ „კომენტარს“).

რიცხება ჯოგის აქტივისტებისა და მათ მიერ ჩატარებულ „აქციაში“ მონაწილე ორგანიზაციების ანგარიშებზე.

ეგაა და ეგ. დამერწმუნეთ. ეს თუ შესრულდა, ის ნახირი თავიანთ ბოსლებში სულ კუნტრუშ-კუნტრუშით შეირეკებიან.

აშკარად ჩანს, რომ ეს მართლაც და სპილოდ ქცეული ბუზი, სწორედაც რომ ხელისუფლების წაყრუების პოლიტიკის და, მოდით, პირდაპირ ვთქვათ — ბიძინა ივანიშვილისგან ნებისმიერ საკითხზე მკაფიო განკარგულების მოლოდინის რეჟიმში ყოფნის ბრალია.

ამას კი კარგად იყენებენ საქართველოს მტერი ნაციონალური მოძრაობა და თავიანთი პროპაგანდისტული მანქანის, „რუსთავი-2“-ის მეშვეობით ებრძვის უკვე არა მმართველ პარტიას, არამედ კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილს.

საბედნიეროდ, გვარამია და კვესიტაძე საერთოდ ამოვარდნენ რეალობიდან.

თუ მათ ეს არ იციან, ძალიან ცუდი, ხოლო თუ იციან და სწორად არ იქცევიან, უარესი და საერთოდ არ არიან საჭირო ასეთი დამფრთხალი, не рыба, не мясо ხალხი ჩვენს კანონმდებლებად.

3. რაც შეეხებათ „დემოკრატიაზე მოქვითინე“ ძალპატონ („ძალპატონი“ კორექტურა არ არის. მათ მეტი ტიტული არ ეკუთვნით) პოლიტიკოსებს“, მათი სერიოზულად აღძმა შეუძლებელია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკვე შუბლზე აწერიათ სურვილი - ოღონდ ტელევიზორში გამომაჩინეთ და ჯოგს კი არა, ვამპირების უფლებებსაც დავიცავთო.

4. ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და გაასაჯაროოს იმ თანხების რაოდენობა, რომლებიც 14 ივნისს პლუს-მინუს 5 დღის განმავლობაში გადმოირიცხა, ან გადმოიმაგალითისთვის ვიტყვი, რომ რაღაც მარაზმზე „საუბრის“ დროს, ლევანა ბერძენიშვილს და გია ნოდიას იმოწმებენ.

ე.ი. ამ ორ იდიოტს ჰგონია რომ საქართველოს მოქალაქე, რომელიც სოციალურად აქტიურია და გარკვეულწილად ნაწყენია ხელისუფლებაზე (დამერწმუნეთ ასეთი საკმაოდ ბევრია), გაიგონებს რომ გვარამია-კვესიტაძისგან გახმიანებულ, სააკაშვლის „იდეას“ ბიძინას კორტნაზე, მხარს უჭერენ ლევანა ბერძენიშვილი და გია ნოდია, მაშინვე გამოვარდებიან სახლებიდან, მიატოვებენ ყველაფერს და სხვადასხვა მეთოდებით ივანიშვილის „კორტნას“ დაიწყებენ.

აი თქვენ კი დაგკორტნათ ფილმ „არმაგედონის“ ზანგმა.

საოცარია, მაგრამ ისე გამოჩნდა, რომ არანაირი რევოლუცია, ან არჩევნები, ამ ხელისუფლებას სწორედაც რომ ეს „ელჭიპიტი“ ჯოგი გადაიყოლებს.

გადაიყოლებს, რადგანაც „ელჭიპიტი“ ჯოგი საკმაოდ მრავალფუნქციური განმარტება გახდა და ის უკვე არა მხოლოდ უკანალის პირდაპირი მნიშვნელობით აქტივობას გულისხმობს, არამედ პოლიტიკაში ფულის შოვნის, „ოღონდ არაფერი გავაფუჭო და არაფერს გავაკეთებ“ პრინციპს და ზოგადად მორალურ მდგომარეობასაც.

საზოგადოებას კი ამ ყველაფერთან დაკავშირებით მკაფიო აზრი გააჩნია.

გთავაზობთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის ვეტერანის, ბატონ დავით ახრახაძის კომენტარს, სადაც ის ზუსტად განსაზღვრავს იმ ორმაგ სტანდარტებს, რაც სამწუხაროდ, დღეს ე.წ. „ტოლერანტობის“ ეგიდით, შეფუთული, საცეცებივით არის მოდებული მედიას და სოციალურად აქტიურ ფენას.

„ჩემი აზრი ლგბტ პედერასტებთან დაკავშირებით ასეთია.... **ისინი რუსთაველზე კი არა... სადარბაზოში ვერ უნდა გამოდიოდენ, ტელევიზიებში ვერ უნდა ჯდებოდნენ... ჰოდა, თუ სამეზობლოში ეგუებით... ტელევიზიებში დებატებშიც უჯდებით, სადმე სუფრაზეც კი იტანთ ხოლმე... ამას ორმაგი სტანდარტი ჰქვია**.... ვისაც ტრაკი გაქვთ და ფიზიკურად შეგიძლიათ!! რუსთაველამდე ნუ მიუშვებთ, სადაც ვერაფერს ვერ უზამთ და პოლიციას მოხვდება სულ ტყუილად თქვენი მოქნეული ხელი! საქართველო იმდენად პატარაა, რომ ნებისმიერი მოქნეული მარჯვენა ისევ ქართველს მოხვდება! მხოლოდ ლაივებით საქმე არ კეთდება. საქმე ჩუმად კეთდება!“

მოკლედ რომ ვთქვა, ისეა არეული სიტუაცია, რომ დედალი პედერასტი, მამალ ლეზბიანკას ხელში არ აიყვანს.

ჩვენ კი ხალხს ისღა გვრჩება, რომ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. პასიურად დაველოდოთ, რადგანაც, სამწუხაროდ, რეალურ გეგმებს და რეალურ გზას არავინ გვთავაზობს.

არადა, ამასობაში გარეჯსაც ეპოტინებიან და უამრავი ადამიანი შიმშილის ზღვარზეა.

გია გაბრიჭიძე

მთავრობა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას 170 000 ლარით დაეხმარება

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიისთვის 170 ათასი ლარის ფინანსურ დახმარებას გამოყოფს.

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ა(ი)იპ — საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიისთვის ფინანსური დახმარების (170 000 ლარით) გაწევის მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები“, — ვკითხულობთ განკარგულებაში.

ემზარ კვიციანი მაინც არ გააბრაზოთ!

„კონსტიტუცია ითვალისწინებს ხალხის აჯანყებასაც და ამიტომ, ცოტა ჭკვიანად იყოს ყველა, რომ ხალხი არ აჯანყდეს. ამას ვურჩევ ყველას, ვინც ქართველი ერის დაკნინებას ცდილობს“, — პირველი არხის ცნობით, ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატმა ემზარ კვიციანმა ვერის ბაღში, „ნამდვილი კაცებისშეკრებაზე“ განაცხადა.

„არ მქონია კომუნიკაცია არავისთან. პირდაპირ მოვედი. მეც შევუერთდები „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციას. იგივე მოთხოვნა მაქვს, რაც აქ მოსულ ადამიანებს აქვთ, რომ არანაირი პროპაგანდა, გარყვნილება არ უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში, მართლმადიდებლურ ქვეყანაში,კავკასიურ ქვეყანაში და არ უნდა შევირცხვინოთ თავი“...

„მოჩხუბარიძეების“ გვარები პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება

საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭომ ამას წინათ საბჭოს დებულება განიხილა

სრულფასოვან მუშაობას საბჭო, წინასწარი ინფორმაციით, სექტემბრიდან შეუდგება.

პარლამენტის ეთიკის კოდექსის რა დარღვევებზე შეიძლება დაიწეროს საჩივრები, თეორიულად ცნობილია. არსებობს მოსაზრებაც, რომ საჩივრების უმრავლესობის შედგენის საბაბი იქნება დეპუტატთა შორის ჩხუბი, რომელიც იშვიათობა არ არის პარლამენტში.

რა ეკრძალება დეპუტატს ეთიკის კოდექსით?

პარლამენტის ეთიკის კოდექსით დეპუტატის ქცევის წესები 16 პუნქტადაა გაწერილი. მათ შორის:

- დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება;
- დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ დეპუტატის სტატუსის გამოყენება ოჯახის წევრის ან ნათესავის ინტერესებისთვის;
- საქართველოს პარლამენტის წევრს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე;
- დაუშვებელია თანამშრომლების დისკრიმინაცია/გამორჩევა რასის, სქესის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის ან სხვა ნიშნით;
- პარლამენტის წევრმა თანამშრომელს არ უნდა დაავალოს ისეთი ქმედების განხორციელება, რაც არ არის გათვალისწინებული მისი სამუშაოს აღწერილობით;
- დეპუტატი ვალდებულია, დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი გახადოს თავისი სამსახურებრივი საკონტაქტო ინფორმაცია.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ საპარლამენტო მდივანი ლიკა საჯაია მათ შორისაა, ვინც ფიქრობს, რომ პოტენციურ საჩივრებს შორის პროცენტულად მეტი იქნება ისეთი საჩივრების რაოდენობა, რომლებიც დეპუტატებს შორის მომხდარი დაპირისპირების საფუძველზე შეიქმნება.

დეპუტატებს შორის არაკორექტული გამოთქმები და ზოგჯერ ფიზიკური შეხლა-შემოხლაც საქართველოს პარლამენტარიზმისთვის უცხო არ არის, ამ მხრივ არც ბოლო, მე-9 მოწვევის პარლამენტია გამონაკლისი.

ლიკა საჯაიას აზრით, ეთიკის საბჭოში შესული საჩივრების რაოდენობა, ისევე როგორც საჩივრებზე რეაგირება, დამოკიდებული იქნება საზოგადოების განწყობაზე. იგი ფიქრობს, რომ ეთიკის კოდექსი კარგად იმუშავებს იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებისა და მედიის მხრიდან დეპუტატების მიერ კოდექსის დარღვევებს სათანადო ინტერესი მოჰყვება.

* * *

ეთიკის კოდექსის მიღებას საქართველოს პარლამენტს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა ავალდებულებდა. ეთიკის კოდექსი მე-9 მოწვევის პარლამენტმა მეორე ცდაზე, 2018 წლის მიწურულს მიიღო. თუმცა პირველი პროექტისგან განსხვავებით, კოდექსის მეორე, დამტკიცებული პროექტი დეპუტატთა მიერ ეთიკური ნორმების დარღვევის გამო სანქციებს აღარ ითვალისწინებს და შემდეგი რეგულაციებით შემოიფარგლება:

- დარღვევის დადგენის შემთხვევაში საბჭო დეპუტატს სარეკომენდაციო წერილით მიმართავს;
- პარლამენტის ვებგვერდზე დარღვევის მცირე აღწერით გამოქვეყნდება იმ დეპუტატების სახელები, რომლებმაც დაარღვიეს ეთიკის კოდექსი.

მოქმედი ნორმებისგან განსხვავებით, ეთიკის კოდექსის პირველი პროექტი დეპუტატთა პასუხისმგებლობასაც განსაზღვრავდა:

- დეპუტატებს, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, დაუკავდებოდათ ხელფასი (10%-დან 50%-მდე);
- შეუჩერდებოდათ საპარლამენტო საქმიანობის ფარგლებში გამართულ ოფიციალურ ვიზიტებში მონაწილეობის უფლება (მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში).

* * *

რეაგირების ეფექტური მექანიზმის არარსებობის პირობებში, ეთიკის კოდექსი პრაქტიკულად ფორმალურ, მაგრამ მაინც პროგრესულ დოკუმენტად მიიჩნევა. არასამთავრობო ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ კოდექსი, შესაბამისად ეთიკის საბჭო, შესაძლებლობის ფარგლებში ეფექტურად იმუშავებს და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების მიხედვით ეტაპობრივად გაუმჯობესდება.

„თუ დეპუტატები მიმართავენ ეთიკის საბჭოს, ნელ-ნელა პრეცედენტი დამკვიდრდება, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია და პარლამენტის სხდომათა დარბაზი ქუჩა არ არის“, — განაცხადა, ეთიკის საბჭოს საქმიანობის მნიშვნელობის შეფასებისას საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა.

დეპუტატთა ეთიკურ გადაცდომებზე პარლამენტის ეთიკის საბჭო 14 კაცის შემადგენლობით იმსჯელებს. საბჭოში შვიდი ადგილი „ქართულ ოცნებას“ ეკუთვნის, სამი — „ევროპულ საქართველოს“, ერთი — „ნაციონალურ მოძრაობას“, ერთი — „პატრიოტთა ალიანსს“, ორი კი დამოუკიდებელი დეპუტატია.

„ქართული ოცნებიდან“ ეთიკის საბჭოს წევრები არიან: ირინა ფრუიძე, ნინო წილოსანი, რუსლან გაჯიევი, კობა ლურსმანაშვილი, გენადი მარგველაშვილი, რატი იონათამიშვილი, რუსლან პოღოსიანი. „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები არიან ოთარ კახიძე, ხათუნა გოგორიშვილი და სერგი კაპანაძე. „ნაციონალური მოძრაობიდან“ საბჭოში შევიდა მამუკა ჩიქოვანი. ემზარ კვიციანი წარმოადგენს „პატრიოტთა ალიანსს“. დამოუკიდებელი დეპუტატების სტატუსით შევიდნენ საბჭოში ეკა ბესელია და რამაზ ნიკოლაიშვილი.

ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს იმ შემთხვევასაც, როცა სავარაუდო დარღვევა ეთიკის საბჭოს წევრს ეკუთვნის. ასეთ დროს საბჭო გადაწყვეტილებას ამ წევრის გარეშე იღებს, ხოლო ფრაქციას აქვს საშუალება, დროებით იგი სხვა დეპუტატით ჩაანაცვლოს.

ნინო მჭედლიშვილი

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს „მაგთიკომის“ განცხადება

მაგთი ფიქსის მომსახურება უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება

17 ივნისიდან მაგთი ფიქსის მომსახურება უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება და მომხმარებლები შეუფერხებლად შეძლებენ აღნიშნული სერვისით სარგებლობას.

მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, მაგთიკომისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, გაგრძელდა მაგთი ფიქსის ლიცენზიის მოქმედების ვადა.

მოხარული ვართ, რომ ჩვენი მომხმარებლები ისევ ისარგებლებენ მაგთი ფიქსის მომსახურებით.

„ძველი გვარდია“ ვინ არის?!

ძველ საბერძნეთში „წმინდა რაზმი“; ძველ სპარსეთში „უკვდავთა კორპუსი“; მაკედონიაში „მეფის ნებიერები“; ძველ რომში „პრეტორიანელები“; საქართველოში კი უბრალოდ „ძველი გვარდია“...

ჯარების ამ ნაწილს ყველაზე რთული ამოცანები ეკისრებოდა საომარი მოქმედებების დროს. საქართველოში კი „ძველი გვარდია“ ახსენდებათ მაშინ, როცა არჩევნები მოახლოებულია.

გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი ძველი გვარდიის გაერთიანებას გეგმავს. მიზეზი მარტივია, „ქართული ოცნება“ მესამე ჯერზე აპირებს ძალაუფლებაში მოსვლას.

„ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ, თავი გაეწირათ, ველზე არ უნდა მიატოვო“, — ასეთია ირაკლი ღარიბაშვილის დამოკიდებულება ძველი გვარდიელების მიმართ. ღარიბაშვილს არც ის დაუმალავს, რომ მისი მთავარი ამოცანა ყველას კონსოლიდაცია და 2020 წლის არჩევნებისთვის გაძლიერება იქნება.



როგორც ირკვევა, ძველ გვარდიაზე დებს ფსონს **გუბაზ სანიკიძეც**. ის ყოფილ თანამებრძოლებს გამოცოცხლებისკენ მოუწოდებს.

რა ძალა ექნება ძველი გვარდიის ხელახალ გაცოცხლებას და ვისთვის იმუშავებს ძველი გვარდია — ხელისუფლებისთვის, თუ ოპოზიციისთვის?

„ღარიბაშვილს რამე რომ შეძლებოდა, როცა პრემიერ-მინისტრი იყო, მაშინ უნდა გაეკეთებინა“, — აცხადებს პირწავარდნილი დემაგოგი **გია ხუხაშვილი** და მიიჩნევს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი დღევანდელი ხელისუფალისთვის არის ე.წ. ოქროს რეზერვი, უცებ რამე რომ მოხდეს, გამოიყენონ. პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** მიიჩნევს, რომ ძველი გვარდიის შემოკრების თვალსაზრისით უფრო მეტი პერსპექტივა აქვს ღარიბაშვილს, ვიდრე გუბაზ სანიკიძეს.

„ძველი გვარდიიდან მე ერთი კაცი ვიცი, ქუთაისელი ომარ ნიშნიანიძე, რომელსაც რიონში არგონავტების გემით უნდოდა მოგზაურობა. რაც შეეხება ამ ხელისუფლების მომხრე ახალ გვარდიას, ვახო სანაიასა და ინგა გრიგოლიასთან გამუდმებით რომ სხედან ეთერში, გვარებს ნუ მკითხავთ, მაგრამ ერთი ბოლოკისა და სტაფილოს ნაჯვარს ჰგავს, მეორე ახალგაზრდა ლუარსაბ თათქარიძეს ჰგავს, ტრფიალების აღმძვრელი ფაფუკი ღაბაბით, მაგრამ ესენიც ისევე გაქრებიან, როგორც სამი წლის წინ გაქრა „ამერიკის ნამდვილი მეგობრების“ ლიდერი.

საქართველო არც რუსეთია, არც ამერიკა, არც ინდოეთი, საქართველო ერთი ციცქნა ქვეყანაა, სადაც ყველამ ვიცით, ძველი გვარდია ვინც არის, მაგრამ სად ჩანს ეს ძველი გვარდია? მე ვერ ვხედავ ძველ გვარდიას“, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ For.Ge-სთან საუბრისას.

ანალიტიკოს **ვახტანგ მაისაიას** აზრით, ძველი გვარდია უკვე გაცვეთილი ცნებაა. ამდენად, ძველი გვარდია შეიძლება პირობითად თქვან და, სინამდვილეში, ახალი გვარდიის შექმნა დაიწყონ. ესეც პოლიტიკური „ვორდინგის“ ელემენტია, როცა ძველი გვარდიის ხსენებით ახალი გვარდიის შექმნას აპირებენ.

მანანა ნოზაძე

◎ რა ხელმა ააგო!

ვის დაჰკარგვია არქიტექტორი...

ამ ერთი თვის მანძილზე ჩვენი ქვეყანა უმნიშვნელოვანესი არქიტექტურულ-კულტურული მოვლენის მოწმე იყო. 12 მაისს მახათას მთაზე აკურთხეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი. ტაძარი ელეგანტურია, დახვეწილი ინტერიერით, ფრაგმენტებით. კურთხევის ზეიმი სამ საათს გაგრძელდა. გაიხარა საქართველომ, ერმა და ბერმა.

ქვეყნის ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ დიდ არქიტექტურულ-კულტურულ ფაქტს, მაგრამ არ გახსენებიათ ტაძრის ხუროთმოძღვარი, არც მშენებლები, რომლებმაც მრავალი წელი შეალიეს ამ საქმეს.

ავტორი, არქიტექტორი ომარ ნაფეტვარიძე ღამენათევი და „მოუწესრიგებელი“ იდგა ხალხში. ასეა ხოლმე, გახსნის წინ ათასი წვრილმანი გამოჩნდება...

გამეხარდა მონატრებული მეგობრების — „ქტიტორების“, სცენაზე ხილვა. ვიფიქრე, ხუროთმოძღვარსაც გვიჩვენებენ-მეთქი, მაგრამ I არხის შემოქმედებითმა ჯგუფმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა.

ვის დაჰკარგვია არქიტექტორი და მშენებელი!

ისე, ცივილურ ქვეყნებში ასეთი მნიშვნელოვანი ტაძრის ხუროთმოძღვარი და მშენებელი ხელისუფალის გვერდით უნდა მდგარიყო. ეს ფაქტი დაამშვენებდა ამ დღესასწაულს და ხელისუფალთა რენომესაც.

ეს რეპლიკა 13 მაისს დაიწერა, მაგრამ გამოქვეყნებისგან თავი შევიკავე. ყველაფერი ხდება. ზეიმი ხომ შედგა. ტაძარი დგას!

მაგრამ ანალოგიური ფაქტები შემდგომ დღეებშიც განმეორდა:

21.V.2019. ევროკომისიამ და ევროპანოსტრამ ხევსურეთის სოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროექტს ევროპული მემკვიდრეობის პრიზი მიანიჭა. ეს მნიშვნელოვანი აღიარებაა. ამ ფაქტს ტრადიციულ ბრიფინგზე გამოეხმაურა ბატონი პრემიერ-მინისტრი, სამართლიანად აღნიშნა ფონდ „ქართუს“ კიდევ ერთი განსაკუთრებული წვლილი ქვეყნის კულტურაში. მოგვიანებით ეს სასიხარულო ფაქტი მოგვილოცეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა მ. გიორგაძემ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ნ. ანთიძემ. სამწუხაროდ, რესტავრაციის პროექტის ავტორი და ამ უნიკალური ციხე-საცხოვრისის რესტავრატორ-მშენებლები მათაც არ გახსენებიათ.

3.VI.2019. გაიმართა ორბელიანის რესტავრირებულ-რეაბილიტირებული მოედნის საზეიმო გახსნა. მისასალმებელია, რომ თბილისის მერიის ყველა თაობა აგრძელებს ქალაქის ისტორიული რაიონების, ქუჩების, შენობების რეაბილიტაცია-რეგენერაციის ტრადიციას, რომელსაც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სათავე დაუდეს არქიტექტორებმა შოთა ყავლაშვილმა და გიგა ბათიაშვილმა, მერიის და პარტიული ხელმძღვანელობის უპრეცედენტო მხარდაჭერით.

ორბელიანის მოედნის რესტავრაცია-რეგენერაციის წარმატებული დამთავრება საქართველოს და თბილისელებს მიულოცეს თბილისის მერმა და ქვეყნის პირველმა პირებმა, საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ. „ტრადიცია“ აქაც არ დარღვეულა, არავის უხსენებია რეკონსტრუქცია-რეგენერაციის ავტორები და მშენებლები.

ამ, ერთი შეხედვით უწყინარ მაგალითებში ნათლად ჩანს სააკაშვილის თვითმპყრობელური პრინციპების სიცოცხლისუნარიანობა. ის ხომ თავად იყო არქიტექტორიც, მშენებელიც, შემფასებელიც, გამხსნელიც, დამფინანსებელიც!..

ცოდავს საზოგადოებრივი არხი, რომელიც ვალდებულია, იყოს უფრო ფაქიზი ასეთი ფაქტების მიმართ.

ვაცნობიერებ, რომ ამდაგვარი ღონისძიებების სატელევიზიო „სცენარისტები“ არ შეიძლება იყვნენ პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, არც მერი, ამას უნდა აკეთებდნენ მათი შესაბამისი სამსახურები, რომელთაც, როგორც ჩანს, სათანადო გამოცდილება და პროფესიონალიზმი ჯერ არ გააჩნიათ.

ვახტანგ დავითაია

P.S. ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის პროექტის ავტორია არქიტექტორი **ომარ ნაფეტვარაძე,** მშენებელი „ბ.პ. კაპიტალი“, პრეზიდენტი **შ. ბერეკაშვილი,** სამუშაოთა მწარმოებლები: **ნ. მებურიშვილი, მ. ვაჩეიშვილი.**

მუცოს რეგენერაციის პროექტის ავტორია, აწ გარდაცვლილი არქიტექტორ-რესტავრატორი **სოსო ბანძელაძე,** მშენებელი შ.პ.ს. „არსი“, დირექტორი **შ. მელიქიძე.**

ორბელიანის მოედანი მრავალ ობიექტს მოიცავს. რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პროექტები და მშენებლობა განხორციელდა სხვადასხვა არქიტექტორების, საპროექტო ორგანიზაციების და სამშენებლო ფირმების მიერ. ამ დიდ საქმეში უფროსი თაობის გვერდით წარმატებით იმოღვაწეევეს ახალგაზრდებმა.

მათ უნდა იცნობდეს ჩვენი საზოგადოება.

საპროექტო ორგანიზაციები: სტუდია 21 — **გია აბულაძე;** „დემარკი“ — **სანდრო კაციტაძე;** ICOMOS-ის ეროვნული კავშირი — **ლია ბოკუჩავა;** ინჟინრული აზრი — **მალხაზ ლეკვეიშვილი;** „არქსტუდია“ — **თემურ დიასამიძე;** „გეკონი“ — **გიორგი ცომაია.**

სამშენებლო კომპანიები: კომპანია „ანაგი“ — **ირაკლი გოგოლაშვილი;** კომპანია „ინსი“ — **ზვიად თოიძე;** კომპანია „იკორთა 2007“ — **გია ხურცილავა;** კომპანია „იქს ვექტორი“ — **ალექსი ხაჩიძე;** კომპანია „გრინსერვისი“ — **კობა ხარშილაძე;** ელექტრო-სამონტაჟო კომპანია „ქსელმშენი“ — **ზურაბ ტაბიძე;** შპს თბილსერვის ჯგუფი — **ლევან ჯღარკავა.**

დამკვეთი: თბილისის განვითარების ფონდი — **გიორგი ბაიდარაშვილი.**

მათ უნდა იცნობდეს ჩვენი საზოგადოება.

ვ. დ.

გენგეგმის ავტორები და დიღმის ტყე-პარკის ორანჟერეის პროექტი

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ავტორი ორგანიზაციის „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორი მამუკა სალუქვაძე დიღმის ტყე-პარკის მიმდებარედ ორანჟერეის მოწყობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ტერიტორიის ზონალური სტატუსი მსგავსი ობიექტის აშენებას არ ეწინააღმდეგება. მისივე შეფასებით, კარგი იქნება, თუ ამ ადგილას დღესდღეობით მდებარე ავტოსალონი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცით ჩანაცვლდება და ტყე-პარკი ახალ სიცოცხლეს შეიძენს.

„ეს ტერიტორია, რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენს, საზოგადოებრივ-საქმიანი სივრცეა. გენგეგმის მიხედვით, ტყე-პარკის დანარჩენი ნაწილი, პრაქტიკულად, მთლიანად ლანდშაფტურ-რეკრეაციულ ტერიტორიად იქცა. დღევანდელი ავტოსალონი ტყე-პარკის ფუნქციასთან და შინაარსთან სრულიად შეუთავსებელია. თუ ის სახესა და ფუნქციას შეიცვლის და საზოგადოებრივ ინტერესებს უფრო მეტად დააკმაყოფილებს, ეს მისასალმებელია.

პროექტი არ მინახავს და გამიჭირდება თქმა, ზუსტად რა ფუნქციებითაა ის დატვირთული, მაგრამ როგორც ვიცი, საუბარი საგამოფენო სივრცეებზე და ბევრ ახალ მცენარეზეა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიღმის ტყე-პარკი ნაკრძალი არ არის. აქ ადამიანები ვარჯიშობენ, მთელ დღეს ატარებენ, ბავშვებს ასეირნებენ... ასე რომ, პროექტის შესაბამისი ფუნქციით განხორციელებამ შესაძლოა, ბიძგი მისცეს იმას, რომ დიღმის ტყე-პარკმა ახალი სიცოცხლე შეიძინოს“, — აცხადებს **მამუკა სალუქვაძე.**

გარდა ამისა, „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორი აღნიშნავს, რომ დღესდღეობით დიღმის ტყე-პარკი სავალალო მდგომარეობაშია და იმედს გამოთქვამს, რომ ახალი პროექტი არსებულ ვითარებას გამოასწორებს.

„თუ მოხდება ისე, რომ მცენარეების ხელყოფა შეწყდეს, მათი დაცვისა და მოვლა-პატრონობის მექანიზმები გაჩნდეს, მიწისქვეშა კომუნიკაციები მოწესრიგდეს და ადამიანებს კომფორტულად დასვენების საშუალება მიეცეთ, ეს ტერიტორია სწორედ ამისთვისაა“, — განმარტავს **სალუქვაძე.**

ახალი ობიექტის ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მერაბ ბოლქვაძეც და აცხადებს, რომ ობიექტი, ისევე, როგორც ტყე-პარკი, აუცილებლად რეკრეაციული დატვირთვის მატარებელი უნდა იყოს.

რაც შეეხება თავად ორანჟერეის პროექტის ავტორს მამუკა ჩხაიძეს, გენგეგმის ავტორები მას კვალიფიციურ სპეციალისტად მიიჩნევენ.

შეგახსენებთ, რომ დიღმის ტყე-პარკის მიმდებარედ მრავალფუნქციური ორანჟერეა მოეწყობა. აღმაშენებლის ხეივანთან მდებარე ტერიტორიაზე ამჟამად „კია მოტორსის“ ავტომომსახურების ცენტრი მდებარეობს. კომპანია „ანაგმა“ ორანჟერეით უნდა ჩაანაცვლოს სწორედ ეს ცენტრი, რომელიც ეკოლოგიურად მნიშვნელოვან ადგილას არის განთავსებული და ფუნქციიდან გამომდინარე, გარემოს გარკვეულ ზიანსაც აყენებს.

პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არცერთი ხე არ მოიჭრება. პირიქით, ამ ადგილას არაერთი ახალი, მათ შორის, ეგზოტიკური მცენარე უნდა დაირგოს. პროექტის ავტორი კომპანია „სტუდია 9“-ის საპროექტო სამსახურის მთავარი არქიტექტორი, თბილისის არქიტექტურის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი მამუკა ჩხაიძეა.

მრავალფუნქციური ორანჟერეა ლანდშაფტურ-დასასვენებელი სივრცეა, რომელიც საგამოფენო დარბაზს, საკონცერტო-თეატრალურ სცენას და არაერთ საინტერესო ობიექტს აერთიანებს. ორანჟერეა სტუმრებს ნებისმიერ დროსა და ამინდში მიიღებს.

პროექტის თანახმად, ლანდშაფტური პარკის ინტერიერი და ექსტერიერი ერთ მთლიანობას წარმოადგენს, რაც მთელი ტყე-პარკის რეკრეაციულ ღირებულებას უფრო მეტად გაზრდის. დღევანდელი მოცემულობისგან განსხვავებით, ტერიტორია არ შემოიღობება და არასდროს იქცევა ჩაკეტილ ზონად.

მრავალფუნქციური ორანჟერეის პროექტი, საბოლოო სახით, დედაქალაქის ხელმძღვანელობამ გასული წლის სექტემბერში დაამტკიცა.

„რეპორტიორი“

ჩემი სოფლის სასაფლაო

პოეტური სათაური უფრო ეს „ჩემი სოფლის სასაფლაო“ და... კიდეც გამოიყენებდა გიორგი ლობჟანიძე ლირიკული ციკლის სახელწოდებად. თუმცა პუბლიცისტურ ჩანაწერებშიც შეიძლება მისი მომარჯვება: პირდაპირი მნიშვნელობითაც და მეტაფორულადაც, როგორც ამჯერად, ჩემი სოფლის სასაფლაო ყელაძეულის ძვალშესალაგს რომ არა ნიშნავს, არამედ — მთაწმინდას.

ჯერ ბოლშევიკ-კომუნისტები დაამგვანებდნენ სოფლის სასაფლაოს ქართველთათვის ამ თავმოსაწონებელ პანთეონს, ამ საკულტო ადგილს. მერე ცოტა გაიწმინდ-გამოიწმინდებოდა იქაურობა, მაგრამ... აგერ ჩვენს თვალწინ კვლავ განმეორდებოდა ეს გულსაკლავი სურათი. უფრო „ლაითად“, მაგრამ მაინც...

და თუ მაშინ ძალმომრეობით ხდებოდა — შეწინააღმდეგება რომ არც შეგვეძლო.

ამჟამად: ჩვენივე გულგრილობით, უთავბოლობითა და საზოგადოებრივი აზრის უქონლობით, რაც მოსურნეებს მთაწმინდის საფლავის ხელში ჩაგდებისა და სრული გაპარპაშების უფლებას აძლევთ.

ჯერ სადა ვართ!..

კანონი კრძალავდა — და კიდეც უნდა კრძალავდეს — ასეთი რანგის პანთეონს მიძალებულთა სწრაფვას; და მართლაც აუცილებელია, ახალშესვენებულის ნეშტს ჯერ სხვა ადგილს მოუზომავდეს, ვიდრე 15, 20 თუ 30 წლის შემდგომ (ფრანგებისათვის მიჯნა სწორედ ეს 30 წელია, უფრო მოკლე ხანა ნაჩქარეობად რომ მიაჩნიათ) გადაასვენებდნენ ამ რჩეულ პანთეონში.

დროის გასვლა აუცილებელია, რათა დრომ და მისმა მსჯავრმაც დაადასტუროს მიცვალებულის პიროვნებისა და ღვაწლის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მთაწმინდა არ შეიძლებოდა, გადაგვქცეოდა სოფლის სასაფლაოდ და აღარც მე უნდა დამცდენოდა ეს გულდასაწყვეტი სიტყვები, მთაწმინდა თუნდ ჩემი სოფლის სასაფლაოსაგან რომ აღარც გამომერჩევა.

თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, შეაჩერა ჭირისუფალთა ეს მანიაკალური სწრაფვა მთაწმინდისკენ იმით, რომ:

ნოდარ დუმბაძეს სამუდამო სამყოფლად შეურჩია „მზიურის“, ბავშვების ქალაქის, შესასვლელი: არამარტო აღიარებულ, დაფასებულ და პოპულარულ მწერალს — იმჟამად ვერც ვერავინ რომ ვერ გაუტოლდებოდა ამ მხრივ — არამედ თავის მეგობარსაც, ამ გადაწყვეტილებით ერთბაშად რომ ჩაფერფლა მთაწმინდაზე მეოცნებეთა ილუზიები და ბედს შეარიგა, უკეთეს შემთხვევაში დიდუბის პანთეონს რომ ვერ გასცდებოდნენ.







და მოგვიანებით კვლავ ედუარდ შევარდნაძემ, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, მიუშვა ეს ნაკადი ანუ ბოთლიდან ამოუშვა ჯინი და... საკულტო ადგილად შერაცხილი მთაწმინდა კიდეც დაამგვანა სოფლის სასაფლაოს, 15 წელს კი არა, მით უმეტეს 20-სა და 30-ს, წუთსაც რომ აღარავინ დაახანებდა.

და ეს ნაკადი თუ ბოთლიდან ჯინის ამოვარდნა დაიწყო ანა კალანდაძის დაბინადრებით მთაწმინდაზე, ოფიციალურად მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით რომ მოხდებოდა, როგორც ახალი პრეზიდენტის, სინამდვილეში კი ედუარდ შევარდნაძის პირადი თხოვნითა და რჩევით.

ნურავის ეგონება, თითქოს ანას ლექსებზე ყოფილიყოს გადამკვდარი ბატონი ედუარდი, აქ თავისი როლი ითამაშა ორივეს გურულობამაც, განსაკუთრებით კი მაინც იმ გარემოებამ, ანა კალანდაძეც რომ გაერია ედუარდ შევარდნაძის მხარდასაჭერად შედგენილი წერილების ხელისმომწერთა შორის.

ეს მოხდა მურმან ლებანიძის ჩაგონებით, რის გამოც ბატონ მურმანს არაერთხელ უსაყვედურებდა მისი მეუღლე ელენე ჭავჭავაძე, და სხვების თანდასწრებითაც: რატომ აყენებ ანას უხერხულ მდგომარეობაში, რატომ სარგებლობ იმით, რომ უარს ვერ გეუბნებაო.

აიწურებოდა მურმან ლებანიძე:

— რაქვიან, ისა... რაქვიან...

რაც იყო თუ როგორც იყო, ანა კალანდაძის ცხედარს გარდაცვალებისთანავე დაიბინადრებდა მთაწმინდა, და... ვერც ერთი ჩვენგანი, ვისაც ძალიან გაგვეხარდებოდა ეს გადაწყვეტილება, ვერ გავითვალისწინებდით, რა სავალალო სურათის მოწმენი უნდა შევქმნილიყავით სულ მალე.

და არც იმას დაგიდევდით, ამ გადაწყვეტილებისათვის თანადგომის გამოცხადებით არსებითად ნამუსს რომ ვწმენდდით ყველა იმ ცოდვასა და დანაშაულს, რაც მიეწერებოდა მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას.

რა გამოდიოდა:

ჩვენთვის მოსაწონ უკანონობას თუ ჩაიდენდა, კარგიც იყო და შესანიშნავიც, და თუ ის უკანონობანი ჭკუაში არ გვიჯდებოდა, ეს კი აღარ უნდა მოგვეთმინა და პასუხიც მკაცრად მოგვეთხოვა?

რეალობა გაცილებით ულმობელია, ვიდრე ჩვენი შელამაზებული შეხედულება მასზე — იმ ორმაგი მორალითა და სტანდარტით გაჟღენთილი, რაც სხვისა ძალიანაც არ მოგვწონს და მის ჩამდენს ყოველთვისაც ვამუნათებთ. ხოლო ჩვენთვის თუ ხელსაყრელია, ყოველთვის რაღაც გამართლებას ვუძებნით.

და... დაიძვრებოდა და დაიძვრებოდა:

რომ აღარაფერი ითქვას ნოდარ დუმბაძის ნეშტის გადასვენებაზე, მანამდე სრულიად წარმოუდგენელი რომ გახლდათ, სასწრაფოდ მიუჩენდნენ ადგილს მთაწმინდაზე: მუხრან მაჭავარიანსაც, ოთარ ჭილაძესაც, ჭაბუა ამირეჯიბსაც, ბაჩანა ბრეგვაძესაც, ჯანსუღ ჩარკვიანსაც.

რომელიღაც დემაგოგი თუ ტროლი ტყუილუბრალოდ შეეცდება ამ პიროვნებათა უპატივცემულობა დამწამოს, თვით ჭაბუა ამირეჯიბისაც, რომლის სახელის დამცირებაც მომაწერეს წერაკითხვის მცირემცოდნეებმა, ბიოგრაფიული რომანის ჟანრულ მოთხოვნებსა და თავისებურებაზე შორეული წარმოდგენაც რომ არ გააჩნიათ.

ერთს უნდა ვითხოვდეთ ყველა:

კანონიერების დაცვას, და მორალური კანონისა კიდევ უფრო მეტად!...

რა გვეჩქარება, რა სული გვისწრებს, ვის ვეჯიბრებით:

მოვიცადოთ, დაველოდოთ დროის განაჩენს.

ჩვენ რომ საქვეყნო გადასახედიდან განვსჯიდეთ, არჩილ ჯორჯაძის ნეშტის გადასვენებაზე უნდა ვზრუნავდეთ...

პავლე ინგოროყვას ნეშტის გადასვენებაზე უნდა ვზრუნავდეთ...

თორემ ისე გამოდის, ჭირისუფალთა და „დროის ფალავანთა“ (ტიციან ტაბიძის ტერმინია) სიმარჯვესა და გავლენიანობაზეა ყველაფერი დამოკიდებული. და ერთი იმდენი, შეცდომაში შეიყვანო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანდა იმჟამინდელი ხელისუფალი, ბიძინა ივანიშვილმა მიხეილ სააკაშვილისაგან მთაწმინდაც რომ გადმოიბარა და... მერე სხვები და სხვები გადაიბარებენ.

საკულტო დანიშნულებას სრულიად დაჰკარგავს მთაწმინდის პანთეონი, ჯერ ახლაც გულდაწყვეტილნი რომ შევყურებთ მის თანდათანობით დაკნინება-გაუსახურებას... და ისევე გადაივსება მთაწმინდის კალთაც ახალ-ახალი საფლავებითა და პანთეონებით, როგორც სოფლად ენაცვლება ერთი სასაფლაო მეორეს, და გვერდიგვერდ უწევთ წოლა ბრძენსაც და გიჟსაც, უანგაროსაც და ანგარებიანსაც, ღირსეულსაც და უღირსსაც, სიკეთისა და სიქველის განმასახიერებელსაც და ბოროტსაც... არავის ნეშტი რომ არა რჩება მიწის ზემოთ...

და თუ ედგარ ლი მასტერსი ან მისი რანგის რომელიმე პოეტი შეახებს ხელს სოფლისა თუ პატარა ქალაქის სასაფლაოსა და მის ბინადართ, წუთისოფლის დრამატიზმისა და ტრაგიზმის შთამბეჭდავ პანორამასაც გადაგვიშლის, მოუწყინრად საკითხავს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, მთაწმინდის პანთეონი სოფლის სასაფლაოსაგან რომ აღარც გამოგვერჩეოდეს?!.

ნუ დაგვავიწყდება, აქ თვით დიდი შოთა რუსთაველი უმდა ემარხოს!!!

როსტომ ჩხეიძე

რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

49

აი, განტევების ვაცის მოწველაც რომ შეიძლებოდეს!

50

ერთისა და იგივეს განმეორება არ ვარგა! სუ-უ-უ! ბედნიერებამ არ გაიგონოს!

51

ხან ანკესს მეთევზესთან ერთად გადაყლაპავენ ხოლმე.

52

ვაი, იმ დიქტატორთ, რომელთაც ირწმუნეს, რომ დიქტატორები არ არიან!

53

ჰაერში იის სუნი რომ დატრიალდა, ნეხვმა თქვა: „რა ქნას, იაფფასიანი კონტრასტის მისაღწევად მუშაობს“.

54

„როგორ უნდა მოიქცე კაცი, – მკითხა ერთმა ჩემმა ნაცნობმა, – თუ შენი ცოლის მეგობარს შენს ჭერქვეშ სხვის ცოლთან ნახავ ლოგინში?“

55

ლამაზი ტყუილი? ყურადღება! ეს უკვე შემოქმედებაა.

56

ადამიანზე ცუდს ნუ იტყვი, შენც ხომ ადამიანი ხარ.

57

ერთ ქვეყანაში მავანმა ლიტერატორმა შემატყობინა: „ხელისუფლება ქუჩაში გდიაო“, „აჩქარება არ ღირს, – ვუთხარი, – აქ ქუჩებს არ ჰგვიანმეთქი“.

58

საკვირველი ქმნილებაა ადამიანი! ზოგიერთი კატორღაშიც რომ არის და ქვის სატეხში მუშაობს, იქაც კი თავისი ძეგლის შესაფერის გრანიტის ლოდს დაეძებს.

59

„ვითომ რატომ დაწერეთ ამაზე, – შევეკითხე ერთ კრიტიკოსს, – როგორც ეპოქალურ მოვლენაზე, რომელიც გარდამტეხ მნიშვნელობას იქონიებს-მეთქი?“ „რაზე?“ – მკითხა კრიტიკოსმა.

60

XI მცნება: „ნუ ისიტყვამრუშებ!“

61

რა არის ქაოსი? რა არის და, ის წესრიგია, სამყაროს შექმნისას რომ დაირღვა.

62

თუკი მუსაიფის ხელოვნება ამაღლდებოდა, შობადობა დაიკლებდა.

63

სისხლის გადასხმა ხშირად ჯიბიდან ჯიბეში ხდება.

64

ჰორიზონტალისა და ვერტიკალის გადაკვეთით ჯვარი მიიღება.

65

ვითომ ოდესმე ჩამოვარდნია ყოვლისმხილველ თვალს ადამიანის ცრემლი?

66

ხალხნო, ნუ თავმდაბლობთ! თავს ლომებად ნუ გვაჩვენებთ.

67

ვის გავურიგოთ თავისუფლება, რომ უშვილძიროდ არ გადაეგდოს?

68

ჰეროსტრატეს სახელის გაგონებაზე ვერა და ვერ ვბრაზდები, სანამ ეფესში დიანას ტაძრის არქიტექტურას არ ვნახავ.

69

სიკვდილის შემდგომ ცხოვრება ადვილი როდია, ამ ამბავს ხან მთელი სიცოცხლე უნდა მოახმარო.

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

70

მზეს ნუ უტურტურებ. ეგ კიდევ უთვალავ წელიწადს უნდა გვეყოს.

71

მსუქნები უფრო ცოტა ხანს ცოცხლობენ. სამაგიეროდ, მეტს მიირთმევენ.

72

ერთხელ მკითხველის წერილი მივიღე: „კაცმა თქვენი აფორიზმები რომ გაიგოს, ნაკითხი უნდა იყოსო“, – „აბა, როგორ!“ – ვაფრინე პასუხად დეპეშა.

73

უკეთუ უფალი კვლავ შიშვლებს შეგვიყვანდა სამოთხეში, ვფიქრობ, ჩვენი სიშიშვლე დღეს იქ მოდური აღარ გამოჩნდებოდა.

74

„ადამიანი მოაზროვნეაო“, – რომ ვამბობთ, განა ეს განსაზღვრება კაცობრიობის მიმართ თქმული ქათინაურია?

75

თვით მის დუმილშიც გრამატიკული შეცდომები იყო.

76

არ ვიცი, უფლებამოსილი ვინ არის, მე უფლებაგაუმაძღარი ვარ.

77

უკვე თვით პარაგრაფის ნიშანი წამების იარაღივით მოჩანს.

78

„მოგრძანდით!“ ნურასოდეს ნუ ეტყვით იმას, ვინც უკვე დაუკითხავად შემოგიღოთ კარი.

79

თქვენს სიზმრებს ნუ მოჰყვებით, ხომ შეიძლება რომ ხელისუფლების სათავეში ფროიდისტები მოექცნენ!

80

რომელ ტოტზეც ზიხარ, მხოლოდ აშინ ჩამოჩეხე, თუ ზედ ჩამოხრჩობას დაგიპირებენ.

81

წამებით მაზოხისტებიც ყველაფერს აღიარებენ ხოლმე, მადლიერების გამო.

82

ჯერ ანგარიში გაასწორე, გული კი უკვე მერე შეიღონე.

83

ვისაც კარგი მეხსიერება აქვს, იმისთვის ბევრი რამის დავიწყება ადვილია.

84

კანონის ანაბანა ანბანში უნდა შევიდეს.

85

ჯოჯოხეთში ეშმაკი დადებითი სახეა.

86

რატომ არ უნდა გავზარდოთ სამუდამო პატიმრობის ვადა სიცოცხლის ხელოვნური გახანგრძლივების გზით?

87

პირუთვნელნიც არ არიან პირუთვნელნი. ისინი სამართლიანობის მიმართ იჩენენ მიკერძოებას.

88

ის მელოტ თავზე დასკუპებულ ტილს მაგონებს, ირგვლივ ამდენი ბრწყინვალებაა – და მაინც ტილია.

89

საგანგაშო ზარს ენა თამამი უნდა ჰქონდეს.

90

ერთხელ ტიტანი ვნახე, წინდებს იკემსავდა. პირველად მაშინ დასჭირდა მას ტიტანური გარჯა.

91

ზოგიერთი ადამიანის აზრი ისეთი ზერელეა, თვითონ იმის თავშიც ვერ აღწევს.

92

მითებს ყველაზე ერთგულად დაქირავებულნი უჭერენ მხარს.

93

ცხვარი, რომელსაც ოქროს საწმისი ჰქონდა, ვერ გამდიდრდა.

94

ისეთ ღუზაზე ვოცნებობ, ნაპირებს თან რომ აითრევს.

95

ვარდები პროფესიულად აფრქვევენ სურნელს.

96

იუდას კოცნა პოეტს კლიტედ ედება პირზე.

97

ყოველივე ადამიანს უნდა შევწიროთ, ოღონდ არა სხვა ადამიანები.

98

შეიძლება, რომ წმინდა ელენეს კუნძულზე მოკვდე და სულაც არ იყო ნაპოლეონი.

99

ღმერთს – ღვთისა, კეისარს – კეისრისაო, ადამიანებს – რაღა?

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-120



ტერორი XX საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების დამახასიათებელი ნიშანია. მიჩნეულია, რომ სსრ კავშირში დიდი რეპრესიების ბორბალმა 1934 წლის 1 დეკემბერს სმოლნში ს.მ. კიროვის მკვლელობის შემდეგ დაიწყო ტრიალი. მაგრამ ეს ასე არ არის, ტერორი ბევრად ადრე დამკვიდრდა. უშუალოდ კიროვის მკვლელობის შემდეგ პარტიისა და სახალხო დაწესებულებების ფარული წმენდა დაიწყო.

ეს ის დროა, როცა ყველაფერი დასწრებაზე იყო: თუ სტალინი ხელებს ჩამოუშვებდა, მტრები, რომლებიც მას უამრავი ჰყავდა, ცოცხლად შეჭამდნენ. სტალინმაც დაასწრო და პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იმქვეყნად გაისტუმრა, ოღონდ მათთან ერთად – ასეულათასობით ყოვლად უდანაშაულონიც, წმინდა წყლის რუსული სიბრძნის შესაბამისად, ტყეს ჭრიან – ნაფოტები ცვივა!

უსახელო საფლავები

დღემდე რეპრესირებულთა სხვადასხვა, ძალზე განსხვავებულ რაოდენობას ასახელებენ, 20 მილიონიდან 60-70 მილიონამდე. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ **ვ. კრუჩკოვმა** ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ასეთი ციფრები დაასახელა: **30-40-იან წლებში და 50-იანი წლების დასაწყისში მსჯავრი დაედო 3 მილიონ 778 ათას 234 კაცს, მათ შორის 786 ათას 098 ადამიანი დახვრიტეს.**

ეს ციფრები შედარებით ზუსტი უნდა იყოს!

როცა პიროვნების კულტის „მხილების“ შემდეგ ენციკლოპედიებში, ცნობარებსა და გაზეთებში ტერორის მსხვერპლთა შესახებ დაიწყეს წერა, გამჭრიახი თვალი იოლად ამჩნევდა შეუსაბამობებსა და უზუსტობებს პიროვნებათა სიკვდილის თარიღებში, ადგილებსა და მიზეზებში.

ეს მავანთა დაუდევრობის შედეგი როდი იყო, არამედ მიზანმიმართული სახელმწიფო სიცრუის პოლიტიკა! ამაში გვაკვალიანებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის **ვლადიმერ სემიჩასტნის 1962 წლის 25 დეკემბრის № 3265-ს სასამსახურო წერილი სკკპ ცკ-ში.**

მასში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ 1955 წელს „ინსტანციასთან შეთანხმებით“ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცა მითითება, რომელიც განსაზღვრავდა იმ მოქალაქეთა განცხადებების განხილვის წესს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ არასასამართლო ორგანოების (ყოფილი გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის, ამავე სამმართველოს – შინსახკომის „სამეულებისა“ და სსრკ შინსახკომისა და სსრკ პროკურატურის კომისიის) გადაწყვეტილებით დახვრეტილი ადამიანების ბედით. ამ მითითებათა შესაბამისად უშიშროების ორგანოები გასამართლებულ პირთა ოჯახის წევრებს აცნობებდნენ, რომ მათ ნათესავებს მიესაჯათ 10 წელი და გარდაიცვალნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. აუცილებლობის შემთხვევაში: ქონებრივი ან სხვა სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას, მმაჩში სიკვდილის თარიღად რეგისტრირდებოდა 10 წლის საზღვრები დაპატიმრების დღიდან, სიკვდილის მიზეზი კი ნებისმიერად გამოგონილი იყო“.

როგორც სემიჩასტნი განმარტავს: მითითებული წესის 1955 წლიდან დამკვიდრება იმით იყო მოტივირებული, რომ **მასობრივი რეპრესიების დროს უდანაშაულოდ გასამართლებული უამრავი ადამიანის შესახებ ცნობების გაცემას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა მათი ოჯახების მდგომარეობაზე, აგრეთვე შეიძლებოდა, რომ ცალკეულ მტრულ ელემენტებს ეს გამოეყენებინათ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესთა საზიანოდ“.**

როგორია! უდანაშაულო ხალხი დახვრიტეს და ახლა ვითომ იმაზე ზრუნავენ, ეს ამბავი სოციალისტური სახელმწიფოს საზიანოდ არ გამოიყენონო. ეს „პრობლემა“ ჩეკისტებს 1955 წელზე ბევრად ადრე დაუდგათ, მასობრივი დასჯის დამალვა მათ თავის ტკივილად ჯერ კიდევ „დიდი ტერორის“ მძვინარების ჟამს ექცათ. მხოლოდ 1936 წლის ოქტომბრიდან 1938 წლის ნოემბრამდე, უშიშროების ორგანოების ხაზით დაიხვრიტა ასიათასობით ადამიანი და ამ დროს, დახვრეტილთა ნათესავებისთვის ეს ამბავი არასოდეს არ უცნობებიათ. თვით იმ დროის საზოგადოება ვერ გაუძლებდა შოკს ასეთი კოლოსალური რაოდენობის დახვრეტების შესახებ ინფორმაციის მიღებისგან.

ამიტომ მისაჩუმათებლად თავიდანვე მოიფიქრეს სასჯელის „გენიალური“ ფორმულირება: **„10 წელი მიმოწერის უფლების გარეშე“.** მაგრამ, როცა ეს ყბადაღებული 10 წელი გასრულდა, ხალხი კი არ დაბრუნდა, ახლობლებში გაჩნდა სრულიად ლოგიკური კითხვა – სად არიან? და დაიწყო ყველა ინსტანციის ბომბარდირება წერილებით და „კომპეტენტური ორგანოებისთვის“ პრობლემად იქცა მათზე პასუხის გაცემა.

გამოსავალი 1945 წლის სექტემბერში სსრკ შინსახკომის მინისტრმა **ლავრენტი ბერიამ** გამონახა: **ხელქვეითებს უბრძანა, ასეთ კითხვაზე ეპასუხათ (ოღონდ, ზეპირად და არამც და არამც წერილობით), რომ მათი ნათესავები გარდაიცვალნენ გადასახლების ადგილებში.**

მაგრამ ბერიას ეს განკარგულება სრულდებოდა, როგორც ჩანს, მხოლოდ შინსახკომშინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით და არა, უშიშროების სამინისტროს ხაზით, რასაც ადასტურებს უშიშროების მინისტრ **სემიონ იგნატიევის 1951 წლის 30 ოქტომბრის №837-ი წერილი სკკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროში:** „სასჯელის უმაღლესი ზომით გასამართლებულთა ნათესავებისთვის პასუხის გაცემის წესი“.

აქ პატარა გადახვევას გავაკეთებ, მთელი ეს დახვრეტები, ფაქტობრივად, „სამეულების“ განაჩენებით ხდებოდა **„სამეული“ („ტროიკა“) უსამართლობის ჩეკისტური სასამართლო იყო.** ჩეკას მოღვაწენი სასამართლო ნორმებისადმი პირველი ნაბიჯებიდანვე აშკარა ზიზღს გამოხატავდნენ. თავიდანვე განისაზღვრა: **საგანგებო კომისიები (ჩკ) დასჯიდნენ სასამართლოსა და გამოძიების გარეშე.**

ეს აზრი უფრო გამოკვეთილად არის ნათქვამი „საგანგებო კომისიის იურიდიული განყოფილების ინსტრუქციაში“ (1919 წ. ნოემბერი): „ კომისიის ამოცანას არ წარმოადგენს გამომჟღავნებულ დამნაშავეთა გასამართლება – ეს სასამართლოს საქმეა. ჩვენი ამოცანაა მორალური ზემოქმედება და ამითი უკვე ჩადენილ დანაშაულთა გამეორების თავიდან აცილება. ჩვენ არ გვჭირდება დანაშაულის მხილები სხვისი შრომის ექსპლუატატორის ან კონტრრევოლუციონერის წინააღმდეგ, საკმარისია მისი სოციალური უზრუნველყოფის ან პოლიტიკური ფიზიონომიის გამორკვევა, რათა მას მივუყენოთ ადმინისტრაციული ზომები, როგორც პროლეტარიატის კლასობრივ მტერს“.

ეს „ზომები“ კი ჩვეულებრივ იყო **„ჯარიმები“, გადასახლებები, დახვრეტები“** – უმთავრესად – დახვრეტები. ადამიანის ფიზიკური მოსპობა ხომ ყველაზე უებარი საშუალებაა, რათა თავიდან აიცილო მის მიერ „დანაშაულის გამეორება“ და დააშინო სხვა.

არასოდეს ისე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არ დადასტურებულა ძველი რომაელების დიდი აღმოჩენა, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“; არასოდეს ისე იაფი და დაუცველი არ ყოფილა ადამიანის სიცოცხლე, როგორც იმ წლებში, „სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის“ ეპოქაში, როცა სამართალს აღვირახსნილი უსამართლობის ხატება – „სამეული“ განაჩინებდა.

სხდომის დროს „სამეული“ („ტროიკა“) ან „საგანგებო სათათბირო“ („ოსობოე სოვეშჩანიე“) „პირველი კატეგორიით თითოეული პატიმრის ბედის გადაწყვეტას 20 წუთზე მეტს არ ანდომებდა – გვარის ამოკითხვა და სასჯელის ზომა...

საქართველოს შინსახკომის „სამეულის“ მუდმივი მდივანი რუსეთში, კალინინის რაიონში 1887 წელს დაბადებული პოლკოვნიკი ალექსანდრე მოროზოვი იყო. მახსოვს 90-იან წლებში სუკ-ის არქივში „საქმეებზე“ მუშაობისას, სუკის ვეტერანები მიყვებოდნენ, რომ მოროზოვი ხშირად საკუთარი შეხედულებით „განაჩინებდა სამართალს“ – „სამეულის“ გადაწყვეტილებათა ოქმებს, ვითომ შემთხვევით „ღიად“ ტოვებდა, შემდეგ კი სიცოცხლემისჯილებს „დახვრეტას“ ჩაუწერდა. იმდენად ამაზრზენი პიროვნება იყო, რომ ბოლომდე თავისიანებმაც ვერ იგუეს – 1947 წ. ორგანოებიდან დაითხოვეს „ასაკის გამო“. 1955 წ. „სოციალისტური კანონების დარღვევისათვის“ პოლკოვნიკის წოდება და პენსია ჩამოართვეს.

ახლა კვლავ ს. იგნატიევის წერილს დავუბრუნდეთ.

უშიშროების მინისტრი მიზანშეწონილად მიიჩნევს ნათესავების ინფორმირების წესის შეცვლას, კერძოდ, **იმ განსჯილთა ახლობლებისთვის, რომელთა დაპატიმრებიდანაც 10 წელი გავიდა, ზეპირად პასუხის გაცემას, რომ განსჯილები გარდაიცვალნენ პატიმრობის ადგილებში. თანაც ასეთი პასუხი მიეცეთ მხოლოდ ოჯახის ყველაზე ახლობელ წევრებს: მშობლებს, ცოლს, ქმარს, შვილებს.**

იგნატიევი წინადადებას იძლეოდა: განსჯილთა სიკვდილის შესახებ შედგენილი ცნობები შეენახათ სსრკ სახუშიშროების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ხოლო ამ ცნობების გამოცხადება დაეკისროთ უშიშროების სამინისტროს ორგანოების პასუხისმგებელ მუშაკებს ადგილებზეო. მაგრამ სტალინმა მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას და დოკუმენტს დააწერა: „დავიცადოთ“.

ცვლილებები, ოღონდ არა კარდინარული, დაიწყო სტალინის სიკვდილის შემდეგ. 1955 წლის 24 აგვისტოს სახუშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, არმიის გენერალმა **ივან სეროვმა** ხელი მოაწერა **№108 დირექტივას,** რომელიც დახვრეტილთა ნათესავების ინფორმირების ახალ წესს ამკვიდრებდა: ზუსტად ისეთს, როგორსაც 4 წლის წინათ იძლეოდა იგნატიევი: ყველა მოთხოვნაზე ეპასუხათ (მხოლოდ ზეპირად), რომ **„მსჯავრდებულებს მისჯილი ჰქონდათ 10 წელი შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით და გარდაიცვალნენ პატიმრობის ადგილებში“.** პასუხი უნდა გასცემოდათ მხოლოდ ოჯახის წევრებს: მშობლებს, ცოლს, ქმარს, შვილებს, და-ძმებს“. **სიკვდილის შესახებ ცნობის გაფორმება შეიძლებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში – ნათესავების მიერ ქონებრივი და სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას.**

ნაბრძანები იყო, ასეთ დროს სიკვდილის მიზეზად ეცნობებინათ ნებისმიერი რამ, რაც თავში მოუვიდოდათ, ოღონდ არა ნამდვილი. უმეტესწილად წერდნენ „გულის უკმარისობას“. სიკვდილის თარიღად იმავე ინსტრუქციის თანახმად, უნდა მიეთითებინათ ნებისმიერი, მისი დაპატიმრების დღიდან 10 წლის ფარგლებში ცდილობდნენ შეერჩიათ „ხელსაყრელი“ სამხედრო პერიოდი – 1941-1945 წლები“.

განვლო კიდევ 7 წელმა, სანამ ლუბიანკამდე არ დავიდა, რომ საჭირო იყო ყველაფრის ძირეულად შეცვლა. სუკ-ის თავმჯდომარე **სემიჩასტნი** წერდა, რომ **„სიკვდილის გამოგონილი თარიღებისა და გარემოებათა შესახებ ცნობების გაცემა უშიშროების ორგანოებს აგდებდა ყალბ მდგომარეობაში, განსაკუთრებით იმ ადამიანთა სიკვდილის თარიღის გაზეთებში გამოქვეყნების დროს, რომლებსაც დამსახურება ჰქონდათ პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე“. მით უფრო, რომ დასამალი უკვე აღარაფერი იყო, საბჭოთა ხალხმა უკვე იცოდა სოციალისტური კანონიერების მასობრივი დარღვევების შესახებ“.**

რა თქმა უნდა სუკ-ის თავმჯდომარე არ აპირებდა სრულ აღიარებას, თუმცა წინადადებას იძლეოდა, **ნათესავებისთვის სიკვდილის რეალური ვითარება ეცნობებინათ, ოღონდ მხოლოდ ზეპირად. დოკუმენტები კი მმაჩებში გავაფორმოთ ნამდვილი თარიღით, ოღონდ სიკვდილის მიზეზის მიუთითებლადო.**

ახალი წესი არ იმოქმედებდა იმ პირთა მიმართ, ვინც უკვე მოატყუეს. დიდი სახელმწიფო სიცრუე არსებობას აგრძელებდა.

ეს დიდი სახელმწიფო სიცრუე ჩემს ოჯახსაც შეეხო. 1937 წელს დააპატიმრეს ბიძაჩემი – დედაჩემის უფროსი ძმა, ეკონომისტი ვლადიმერ დარისპანის ძე კუტალაძე, რომლის ფსევდონიმიც ვალოდია მაკლინი გახლდათ (დღემდე ვერავინ ამიხსნა, რატომ მაინცდამაინც მაკლინი?).

ახლობლებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ დააპატიმრეს ტროკიკისტობის ბრალდებით. მეტი არაფერი, და გაქრა კაცი. კარგა ხნის შემდეგ, როცა რეპრესირებულთა რეაბილიტაცია დაიწყო, დედაჩემს სუკ-იდან უპასუხეს,10 წელი ჰქონდა მისჯილი მიმოწერის უფლების გარეშე და 1940 წელს ავადმყოფობით გარდაიცვალა გადასახლებაში, კომის ასსრ-შიო. ე.ი. „სამეულის“ განაჩენით ტყვია თბილისშივე დააჭედეს და ყოვლად უნამუსოდ გვატყუებდნენ. კიდევ ერთხელ აღსრულდა პარტიის გენერალური კურსი „ვინც ჩვენს გვერდით არ არის, ის ჩვენი მტერია“. მტრისთვის კი მხოლოდ ერთი განაჩენი არსებობდა – სიკვდილი.

საწყალი უკვალოდ გამქრალი ვლადიმერ კუტალაძე.

საწყალი ქარს გამოდევნებული, მოტყუებული ვალოდია მაკლინი.

რამდენი მისი მსგავსი „ჭანჭიკის“ – სახელმწიფო ტერორის მსხვერპლის უსახელო საფლავია ამ ცოდვილ მიწაზე!..

ალეკო ასლანიშვილი

რუსეთელები - საკრედიტო ხაფანგში...

გავლენიანი გერმანული გამოცემა Die Welt რუსეთში ცხოვრების დონის გაუარესებაზე წერს, რის მიზეზადაც მოსახლეობის საკრედიტო დავალიანების ზრდის პრობლემას ასახელებს.

ხშირად გვესმის სტერეოტიპები მდიდარ რუსებზე, რასაც ადასტურებს ბოლო დროის ევროპული პოლიტიკის ყველაზე ხმაურიანი სკანდალი – ვიდეორგოლი, სადაც ჩანს ავსტრიის ყოფილი ვიცეკანცლერი ჰაინც-ქრისტიან შტრახე იბიცა ერთ-ერთი ფეშენებელურ სასტუმროში რუს მილიარდერებთან ერთად.

თუმცა, ამ დროს ყველას ავიწყდება, რომ რუსეთი არ შედგება მხოლოდ პუტინთან დაახლოებული ოლიგარქებისგან და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრება სულაც არ მიდის ასე კარგად – პირიქით. მას შემდეგ, რაც მოსკოვი დაუპირისპირდა დასავლეთს ყირიმის ანექსიის გამო (2014 წელი), რასაც დაემატა ნავთობზე ფასების ვარდნა, რუსეთის რიგითი მოქალაქეების ცხოვრების დონე წლიდან წლამდე უარესდება.

მიმდინარე სტატისტიკა აჩვენებს, რომ დღეისათვის რუსეთის ცხოვრების დონემ პოსტსაბჭოთა ეპოქის ყველაზე მძიმე პერიოდამდე მიაღწია.

როსსტატის ინფორმაციით, 2018 წლის მე-4 კვარტალში, მოსახლეობის 48%-ს შემოსავლები მხოლოდ კვებაზე და ტანსაცმელზე ჰყოფნის, მათთვის მიუწვდომელია ხანგრძლივი მოხმარების საგნები, ისეთები, როგორიცაა ავეჯი ან ავტომობილი.

შექმნილ სიტუაციაში, ადამიანებს სულ უფრო ხშირად უწევთ შედარებით კარგ წლებში დაგროვილი დანაზოგების ხარჯვა ყოფითი მიზნებისთვის ისე, რომ ისინი ვერ ახერხებენ თუნდაც მინიმალური თანხების გადადებას. ე.წ. შავი დღისთვის თანხის შენახვას მხოლოდ მოსახლეობის 3,7% ახერხებს.

იყო უარესი პერიოდებიც – როსსტატის მონაცემებით, 1998 წელს, როდესაც რუბლის კურსი ჩამოიშალა, მოსახლეობა დანაზოგებში მხოლოდ შემოსავლის 25%-ს ინახავდა.

სოციოლოგიური სამსახურის „ლევადა ცენტრის“ მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობის 2/3 საერთოდ არ ფლობს არანაირ დანაზოგს. საშუალო ფენა ყველაზე მეტად ყირიმის კრიზისის შემდეგ დაზარალდა.

ამასთან ერთად რუსეთში შენელდა ეკონომიკური ზრდაც. როსსტატის მონაცემებით, 2018 წელს მშპ-ს ზრდამ შეადგინა მხოლოდ 2,3% – თავისთავად ეს არ არის ძალიან დაბალი მაჩვენებელი, მაგრამ მიღწეულია მხოლოდ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხარჯზე - ისეთების, როგორიც არის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ობიექტების და ყირიმის ხიდის მშენებლობა.

ამის შემდეგ, უკვე 2019 წლის პირველ კვარტალში, ზრდა შემცირდა 0,5%-მდე.

ამის ერთ-ერთი მიზეზია მთავრობის მცდარი გადაწყვეტილება დღგ-ს მომატებაზე, რომელმაც შეამცირა შიდა მოხმარების დონე.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფოს ძალიან სჭირდება დღგ-ს გაზრდა, რადგან ბოლო წლებში ფინანსურ სირთულეებს განიცდის.

როგორც რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დმიტრი პესკოვი აცხადებს, ეკონომიკაში პრობლემებზე წუხს კრემლიც.

2014 წლიდან რუსეთში მცირდება რეალური შემოსავლები. დღეს საშუალო სტატისტიკურ რუსს აქვს 8,3%-ით ნაკლები ფული, ვიდრე 2013 წელს, თანაც ეს – დათვლის შეცვლილი მეთოდოლოგიით – აქამდე არსებულით კი მაჩვენებელი კიდევ უფრო მძიმეა და შეადგენს 11%-ს.

ამასთან, ყველა პროგნოზის თანახმად, ნეგატიური ტენდენცია შენარჩუნდება 2019 წელსაც.

შექმნილ სიტუაციაში ადამიანებმა დაიწყეს ზომების მიღება – ვისაც როგორ შეუძლია და რაზეც მიუწვდებათ ხელი. კერძოდ, დაიწყო სესხების მასობრივი აღება, ისეთი ტემპებით, რომ ცენტრალური ბანკიც კი შეწუხდა.

2018 წელს ფიზიკური პირების დავალიანება გაიზარდა 22,4%-ით და 14,9 მლრდ. რუბლს მიაღწია.

ეს არის დავალიანების ზრდის ყველაზე ინტენსიური მაჩვენებელი 2013 წლიდან. დავალიანების ტვირთი, ანუ სესხების ყოველთვიური მომსახურეობის და შემოსავლების შეფარდება 10% შეადგენს, რაც ისტორიულ მაქსიმუმთან ახლოსაა – 2014 წელს 10,4% დაფიქსირდა.

სარეიტინგო სააგენტო „эксперт РА“-ს დირექტორი ანტონ ტაბახი მიიჩნევს, რომ ცენტრალური ბანკი გაუმკლავდება შექმნილ სიტუაციას, თუ არ მოხვდა რაიმე ეკონომიკური კატასტროფა.

„თუმცა, საბოლოო ჯამში ჭარბი დაკრედიტების პრობლემის გადაწყვეტა არ არის მხოლოდ ცენტრალური ბანკის საქმე. ადამიანები იღებენ სესხებს იმიტომ, რომ მათ უჭირთ და მათი ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამას კი რეგულატორი ვერაფერს უზამს – ეს უკვე მთავრობის და ხელისუფლების საქმეა,“ – ამბობს ტაბახი.

Die Welt

ADB

Invitation for Bids

Date:	**17 June 2019**
Loan No. and Title:	53178-GEO East-West Highway (Shorapani-Argveta Section) Improvement Project
Contract No. and Title:	SARP/CW/OCB-01: CONSTRUCTION OF SHORAPANI-ARGVETA SECTION (E60 HIGHWAY ROUTE)
Deadline for Submission of Bids:	Date: **01 August 2019** Time: 16:00 hours local time

1. Georgia has applied for financing from the Asian Development Bank toward the cost of the Shorapani-Argveta Road Project. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.

2. **The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia** (“the Employer”) invites sealed bids from eligible Bidders for Construction of Shorapani-Argveta Section (E60 Highway Route). Contract scope includes construction of 4 lane highway with concrete pavement – total length **14.7 km**. The scope also includes construction of **14** bridges with total combined length **5.0** km and **12** tunnels with total combined length **8.5 km**.

3. **Open competitive bidding** will be conducted in accordance with ADB’s Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible source countries as described in the Bidding Documents.

4. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder’s net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:

● As a minimum, the Bidder’s net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive;

● Its minimum average annual construction turnover within the last Three (3) years* must not be less than **USD 155,000,000** (One Hundred Fifty-Five Million United States Dollars) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed; and

● Bidder must demonstrate that its financial resources less its financial obligations for its current contract commitments meet or exceed the total requirement for the subject Contract **USD 25,800,000** (Twenty-Five Million and Eight Hundred United States Dollars).

Construction Experience:

Participation as a contractor, JV partner, or subcontractor, in one contract that has been successfully or substantially completed within the last 5 years and that is similar to the proposed works, where the value of the Bidder’s participation exceeds **USD 217,000,000.00** (Two Hundred and Seventeen Million United States Dollars). The similarity of such works shall be based, in the reference project submitted, on the existence of construction of highway with tunnels.

Construction experience in the following key activities:

Minimum construction experience in the following key activities:

● Construction of at least **50,000 m2** of transport (road and/or railway) bridge deck in any **three consecutive** years within the period of the last 5 (five) years;

● Construction of tunnels with at least a total combined tunnel length of **4,500 m, including drill and blast methodology** in any **3 consecutive years** of the last 5 (five) years. **At least one tunnel should be a road tunnel with a minimum length of 1,000m;**

● Construction of concrete road pavement in the quantity of **at least 40,000 m2 in any one year of the last 5 (five years);**

● Earthworks in the quantity of **at least 1,000,000 m3 in any two years of the last 5 (five years);**

5. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:

Mr. Levan Kupatashvili
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

6. To obtain the Bidding Documents in English, eligible Bidders should:

● write to address above requesting the Bidding Documents for **SARP/CW/OCB-01: CONSTRUCTION OF SHORAPANI–ARGVETA SECTION (E60 HIGHWAY ROUTE);**

· Bidding Documents will be provided in an electronic format, free of charge; The document will be sent by e-mail. No liability will be accepted for delivery failure.

7. Deliver your bid

● to the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. Street address: Al. Kazbegi Avenue #12. Floor/Room number: IV Floor, Chancellery;

● on or before the deadline as specified above;

● together with a Bid Security as described in the Bidding Document.

8. Bids will be opened **immediately after the deadline** in the presence of Bidders’ representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: Al. Kazbegi Avenue #12
Floor/Room number: II Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

** 2015, 2016 and 2017 or 2016, 2017 and 2018 depending on the availability of the audited financial statements.*

◎ წინ, საქართველოვ!

ხელბურთში მილიარდიან ქვეყნებს ვაჯობეთ

რა დრო მოვიდა?! – ხელბურთის პელეს ჯემალ ცერცვაძის თანამემამულეებს INF-ის ერთა ჩემპიონატის მოგება გვიხარია.



რას ვიზამთ – ყველაფერი შედარებითია და მივულოცოთ საქართველოს ნაკრებს თბილისის სპორტის სასახლეში დასრულებულ მესამე ანალოგიურ ტურნირში მოპოვებული ღირსეული წარმატება, სადაც სერბი ნიკოლა მაქსიმოვიჩის გაწვრთნილმა „ჯვაროსნებმა“ შვიდივე მეტოქეს დამაჯერებლად სძლიეს, მათ შორის ფინალში – კუბელებს 31:21 (წინა ორი ფარერის კუნძულების წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა).

აღსანიშნავია, რომ თასთან და ოქროს მედლებთან ერთად მასპინძლები ევრო – 2022-ის მეორე შესარჩევი ეტაპის პლეი-ოფის საგზურსაც დაეუფლნენ, ორ გამორჩეულ ჩვენებურს კი ინდივიდუალური ჯილდოებიც გადაეცა: **თემურ ორჯონიკიძეს** – როგორც საუკეთესო მარცხენა. ინსაიდს და **გიორგი ცხოვრებაძეს** – როგორც საუკეთესო მარჯვენა შუამარბსა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ტრიუმფატორის, ფრანგულ კლუბ „მონპელიეს“ მეორე გუნდის ღირსებას იცავს.

დავძენთ, რომ დანარჩენ პოზიციებზე სამახსოვრო პრიზები დაიმსახურეს მაგნოლ სუარესმა, ედუარდო ვალიენტემ (ორივე – კუბა), ჰუან პეიიმ (ჩინეთი), კრისტიან ვასილევმა და სვეტლინ დიმიტროვმა (ორივე – ბულგარეთი),საბოლოო შედეგები კი ასეთია: 1. საქართველო, 2. კუბა, 3. ბულგარეთი, 4. დიდი ბრიტანეთი, 5. აშშ, 6. ჩინეთი, 7. ნიგერია, 8. კოლუმბია, 9. ინდოეთი, 10. აზერბაიჯანი, 11. ირლანდია, 12. მალტა.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ამოივსო ის ვაკუუმი, რომელიც აქამდე უკმარისობის გრძნობას გვიტოვებდა – ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონიც გვყავს.

ეს გახლავთ კიევის „დინამოს“ უნიჭიერესი ნახევარმცველი **გიორგი წიტაიშვილი,** რომელმაც უკრაინის 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში პოლონეთში დასრულებული ახალგაზრდული მუნდიალი მოიგო, თანაც ფინალში მესამე, ყველა კითხვაზე პასუხის გამცემი გოლი გაუტანა სამხრეთკორეელ თანატოლებს – 3:1.

ვიცი, მოიძებნებიან ისეთნიც, ვინც ჩვენი ყმაწვილი თანამემამულის საამაყო მიღწევის დაკნინებას შეეცდებიან, აქაოდა, სხვის ომში გაიმარჯვაო, მაგრამ თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ არც კახი კალაძეს უნდა მივაგოთ სათანადო პატივი, ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი ორჯერ „მილანის“ მაისურით რომ გახდა.

სხვათა შორის, ეს ტიტული, მრავალი სხვა ვარსკვლავის მსგავსად, თავის დროზე თვით ლეო მესისაც აქვს მოპოვებული, ოღონდ მშობლიური არგენტინის შესაბამისი ასაკის გუნდისთვის.

ვინატროთ, რომ გიორგის კარიერაც ისეთივე შთამბეჭდავი ყოფილიყოს, როგორიც ლეგენდარული სამხრეთამერიკელისა, ოღონდ, რასაკვირველია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. დიახ, უპირველესად ის გახლავთ საზრუნავი, რომ გიორგი წიტაიშვილი „ჯვაროსნებს“ გამოადგეს, საამისოდ კი სახელმწიფო სტრუქტურებისა და, განსაკუთრებით, ქართული ფეხბურთის მამების ძალისხმევაა საჭირო.

მოგეხსენებათ, ევროპის სამი ჩემპიონის (მესხი, მეტრეველი, ჩოხელი) ქვეყანა თავს ჯერჯერობით პირველი და, ალბათ, კარგა ხნის განმავლობაში უკანასკნელი ოლიმპიური გვირგვინოსნის გელა კეტაშვილის არნახული წარმატებით იწონებს.

ვიმედოვნებთ, „წიტე“ სახელოვანი წინამორბედის ბედს არ გაიზიარებს და მისი მაგალითი კომპიუტერ-ინტერნეტით დადონდლოვებული თაობის წარმომადგენელთათვის გადამდები აღმოჩნდება.

დაიწყო 46-ე კოპა ამერიკა და პირველი მეხიც გავარდა – არგენტინა კოლუმბიასთან დამარცხდა – 0:2.

ლეო მესის პერსონალურ მეურვეობას ბრწყინვალედ გაართვა თავი ბარიოსმა, ანხელ დი მარია კი ისე უსუსურად გამოიყურებოდა, შესვენებაზევე შეცვალეს, მაგრამ ამ ფონზეც კი მხრებს თუ აიჩეჩავდი გაოცებისგან კაცი „ალბისელესტეს“ თავკაც სკალონის მორიგი კურიოზული გადაწყვეტილებების გამო, რომელმაც 0:1-ზე მატჩის მიწურულს მინდვრიდან სერხიო აგუერო გაიყვანა და ბრძოლაში არ ჩაბა დიბალა – მარტინესის მრისხანე დუეტი.

სასტარტო შეხვედრები დაამშვენა კოუტინიოს დუბლმა (ბრაზილია – ბოლივია 3:0), ურუგვაელთა ყველა რგოლის დაბალანსებულმა თამაშმა (ურუგვაი – ეკვადორი 4:0) და ყატარელთა ფსიქოლოგიურმა სიმტკიცემ (ყატარი – პარაგვაი 2:2 0:2-ის შემდეგ), თუმცა, იყო პერუ – ვენესუელის მოსაწყენი სანახაობაც – 0:0.

შვიდი მილიონი გირვანქა სტერლინგი საკომპენსაციო თანხა, სამწლიანი კონტრაქტი და წელიწადში 6 მილიონი ევრო ხელფასის სახით – ასეთია 60 წლის იტალიელი



მწვრთნელის მაურიციო სარის სამშობლოში დაბრუნების ფინანსური პერიპეტიები, სადაც მას ტურინის „იუვენტუსისთვის“ უმაღლესი ტიტულების მოპოვება ევალება.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლიდან“ ნისლიან ალბიონზე გადაბარგებულმა აპენინელმა სპეციალისტმა „ჩელსის“ განვლილ სეზონში ევროპალიგა მოაგებინა, პრემიერლიგაში დაკავებული მესამე ადგილით ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა და ინგლისის თასის ფინალში გაიყვანა, მაგრამ „არისტოკრატთა“ ამბიციური შეფებისა და ქომაგთა გულები მაინც ვერ მოინადირა...

გიორგი ზოთაძე

◎ იმედი

16 წლის ელენე ლოლაძემ მსოფლიო თასი მოიგო!

იტალიის ქალაქ რიმინიში კიკბოქსინგის ოსტატთა პოპულარული ტურნირი – მსოფლიო თასის გათამაშება გაიმართა, სადაც 42 ქვეყნის 3 000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის – 16 წლის ქართველი მებრძოლი ელენე ლოლაძე.

იგი აპენინებზე საქართველოს ჩემპიონის რანგში გაემგზავრა და პრესტიჟულ ასპარეზობაზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია, რომ თებერვლიდან მოყოლებული, ელენეს ზედიზედ 7 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და საამაყოა, რომ ეს სერია იტალიაშიც გაგრძელდა.

კობა კობახიძე

◎ გამოიცა

საჩუქარი ჭადრაკის მოყვარულთათვის



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარადგინეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის, მრავალი სამაგიდო ნაშრომის ავტორის დავით გურგენიძის ახალი წიგნი „ჭადრაკი ქართველი ხალხის ცხოვრებაში“ (II ნაწილი).

ამ კრებულის მნიშვნელობაზე ისაუბრეს 2003 წლის ევროპის ჩემპიონმა, კონტინენტის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავკაცმა გიორგი გიორგაძემ და სხვებმა.

გამოცემაში უამრავ ძალიან ყურადსაღებ ფაქტთან და გამონათქვამთან ერთად დასტამბულია ცნობილი ჟურნალისტის ალექსანდრე შენგელიას ორი მუნასიბი „ლუდი და ჭადრაკის დაფა“ და მსჯელობა სამთავრობო გადაადგილებებზე „როცა ცხოვრება ჭადრაკულადაა“, რომელიც მკითხველს ჩვენმა გაზეთმა ჯერ კიდევ შარშან გააცნო.

შეხვედრის დასასრულს სიტყვით გამოვიდა დავით გურგენიძე, რომელმაც სტუმრებს მადლობა გადაუხადა და თავისი სამომავლო გეგმები გააცნო – რომ ჩაფიქრებული აქვს, დაინტერესებული საზოგადოება III წიგნით გაახაროს.

თამაზ შენგელია

თბილისი რომ სუფთად გამოიყურებოდეს

„თბილსერვის ჯგუფმა“ დედაქალაქში გზის მორეცხვის გეგმიური სამუშაოები დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, სპეციალური ტექნიკის დახმარებით, თბილისის ათივე რაიონის ყველა ცენტრალური ქუჩა და გამზირი ყოველდღიურად მოირეცხება.

„თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელის ლევან ჯღარკავას თქმით, დედაქალაქის ქუჩების ყოველდღიური მორეცხვა, სპეციალურად შემუშავებული განრიგის მიხედვით, ზამთრის დადგომამდე განხორციელდება.

„ქუჩების დატვირთულობიდან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც კონკრეტული ქუჩების, გამზირების მორეცხვა წინასწარ გაწერილ საათებში მოხდება. სეზონური მორეცხვის სამუშაოები თამარაშვილის ქუჩიდან დავიწყეთ და ეტაპობრივად მივყვებით“, - აღნიშნა ლევან ჯღარკავამ.

გზის მორეცხვის სამუშაოები ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება და შემდეგ ქუჩებსა და გამზირებზე შესრულდება: ალექსანდრე პუშკინის ქუჩა; ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა; ვახტანგ გორგასლის ქუჩა; მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა (ყოფილი ელბაქიძის ქუჩა); მეტეხის ხიდი; ბარათაშვილის ხიდი; გალაქტიონის ხიდი; გია გულუას ქუჩა; შოთა რუსთაველის გამზირი; მერაბ კოსტავას ქუჩა; პეტრე მელიქიშვილის ქუჩა; თავისუფლების მოედანი; კოტე აფხაზის ქუჩა; დავით აღმაშენებლის გამზირი; კოტე მარჯანიშვილის ქუჩა; ზაარბრიუკენის მოედანი; ცოტნე დადიანის ქუჩა; ქეთევან წამებულის გამზირი; ვარკეთილის დასახლება — ცენტრალური ქუჩები; ვაზისუბნის დასახლება — ცენტრალური ქუჩები; ლეხ კაჩინსკის ქუჩა; ავლაბრის მოედანი; ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმართი; ევროპის მოედანი; აკაკი წერეთლის გამზირი; გიორგი ცაბაძის ქუჩა; თამარ მეფის გამზირი; თევდორე მღვდლის ქუჩა; აბასთუმნის ქუჩა; მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა; გრიგოლ რობაქიძის გამზირი; ფარნავაზ მეფის გამზირი; მირიან მეფის ქუჩა; დავით გურამიშვილის გამზირი; დავით სარაჯიშვილის ქუჩა; თორნიკე ერისთავის ქუჩა; ნოდარ დუმბაძის გამზირი; ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა; იოსებ ნონეშვილის ქუჩა; ალეკო გობრონიძის ქუჩა; ილია ჭავჭავაძის გამზირი; ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა; ირაკლი აბაშიძის ქუჩა; მიხეილ თამარაშვილის ქუჩა; ვაჟა-ფშაველას გამზირი; ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი; შალვა ნუცუბიძის ქუჩა; ჟიული შარტავას ქუჩა; პეკინის ქუჩა; იური გაგარინის ქუჩა; გმირთა მოედანი; გმირთა მოედანი-მიხეილ თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზა და პანდუსები; მარშალ გელოვანის გამზირი.

დედა კაზინოდან შვილის გამოყვანას ცდილობდა!

ხმაური **იყო მარნეულში. თვითმხილველები აცხადებენ, რომ დედა ერთ-ერთი კაზინოდან შვილის გამოყვანას ცდილობდა, რასაც დაცვის თანამშრომელთან დაპირისპირება მოჰყვა. დაპირისპირების დროს ქალი შეუძლოდ გახდა და მისი ჰოსპიტალიზება გახდა საჭირო.**

ახალგაზრდა მამაკაცი და დედა კი მოგვიანებით პოლიციის შენობაში გამოკითხვაზე გადაიყვანეს.

მარნეულის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი აზატ ქარიმოვის განცხადებით, მსგავსი შემთხვევები მარნეულში ხშირია.

„ჩვენ რომ მოვედით, ქალბატონი უკვე ძირს გონებადაკარგული იწვა. როცა გავარკვიეთ, თუ რა მოხდა, გვითხრეს, რომ ეს ქალბატონი თავისი შვილის კაზინოდან გამოყვანას ცდილობდა, რა დროსაც სლოტ-კლუბის დაცვის წევრმა მას ხელი ჰკრა და ძირს დააგდო. ეს არ არის მარნეულში პირველი შემთხვევა. მსგავსი ფაქტები თითქმის ყოველ ღამით ხდება. ამ ინციდენტის დროს აქ ასობით ადამიანი შეიკრიბა და ყველა სწორედ კაზინოების წინააღმდეგი იყო. ისინი ერთხმად აპროტესტებდნენ კაზინოების ფუნქციონირებას. ეს უბედურება მარნეულის მთელ მოსახლეობას აწუხებს,“ — განაცხადა ქარიმოვმა.

შოტლანდიაში გაზრდილ 11 წლის ბიჭს დაობლების შემდეგ საქართველოში დეპორტაცია ემუქრება

გლაზგოში **მცხოვრები 11 წლის ბიჭი დაობლების შემდეგ საქართველოში დეპორტაციის საფრთხის წინაშეა. გიორგი კაკავა დედამისთან, სოფისთან ერთად შოტლანდიაში მას შემდეგ გადავიდა, რაც საქართველოში კრიმინალებმა მამა მოუკლეს. მაშინ ის ერთი წლისაც არ იყო. მანამდე ის ქუთაისში ცხოვრობდა, საფრთხე მათაც შეექმნათ.**

2018 წელს გიორგის დედა სოფიო ბაიხაძეც გარდაიცვალა, სოფიო გარდაცვალებამდე შოტლანდიაში თავშესაფრის მისაღების პროცედურებს გადიოდა, თუმცა პროცესის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრო.

ბავშვმა ცხოვრების დიდი ნაწილი გლაზგოში გატარა და სამშობლოდ შოტლანდიას მიიჩნევს. ის გლაზგოში ბებიასთან ერთად ცხოვრობს და მხოლოდ ინგლისურად საუბრობს.

გიორგის მხარდასაჭერად ინტერნეტ პეტიციაც შეიქმნა, რომელსაც სულ რამდენიმე დღეში ათობით ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი. გიორგის და ბებიას დიდ ბრიტანეთში 30 თვით დარჩენის უფლება მისცეს.

გიორგისა და მისი ბებიის ამბავი თავდაპირველად ადგილობრივი ეკლესიის მღვდელმა რევ ბრაიან ქოსიმ გაახმაურა. მან ვიდეომიმართვა გაავრცელა და საზოგადოებას დახმარება სთხოვა. გიორგის საკითხი პარლამენტში წამოჭრა შოტლანდიის მწვანეთა პარტიის თანადამფუძნებელმა პატრიკ ჰარვიმ.

ადამიანის უფლებათა დამცველები ამბობენ, რომ გიორგის დეპორტაციით ბავშვის უფლებები ირღვევა. ამ დროისთვის ჯერჯერობით გიორგის შოტლანდიაში დარჩენის უფლება 2020 წლის თებერვლამდე აქვს. მის ბებიას ქეთინო ბაიხაძეს კი — 2020 წლის დეკემბრამდე.

SOS!

ჰაერის დაბინძურების გამო სიკვდილიანობით საქართველო მსოფლიოში მე-3 ადგილზეა!!!

ჰაერის დაბინძურების გამო სიკვდილიანობით საქართველო მსოფლიოში მე-3 ადგილზეა. მთავარი პრობლემა დედაქალაქშია. 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, გაზრდილია ჰაერის დამაბინძურებელ ნაწილაკთა რაოდენობა, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საშიშია.

ჰაერის ხარისხის კვლევის ფარგლებში გამოქვეყნდა წერეთლის გამზირზე გამოვლენილი წამყვანი დამაბინძურებლების (აზოტის დიოქსიდი — NO2, მიკრონაწილაკები PM2.5 და PM10) მონაცემების ანალიზი, რომელიც ნორმაზე მეტია. ანალოგიური ან გაუარესებული მდგომარეობა შეიძლება დედაქალაქის სხვა უბნებშიც იყოს.

„2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემებმა ჰაერის ხარისხთან მიმართებით დაგვანახა, რომ გაზრდილია იმ წამყვან დამაბინძურებელთა ოდენობა, რომლებიც ჯანმრთელობისთვის მეტად საშიშია. ამას წარმოადგენს განსაკუთრებით აზოტის დიოქსიდი, არის შეწონილი მყარი ნაწილაკები და მტვერი. წერეთლის გამზირი აღებულია ერთ-ერთ მაგალითად იმისთვის, რომ გვეჩვენებინა დატვირთულ ქალაქზე, სადაც ჰაერი იზომება გზის პირას, თუ როგორი ვითარებაა. ბუნებრივია, ამის განზოგადება შეიძლება მთელ ქალაქზე ვერ მოხდეს, მაგრამ ძალიან დიდი ეჭვის საფუძველი არსებობს, რომ სხვა დატვირთულ ქუჩებზეც იყოს იგივე ან უარესი ვითარება“, — განაცხადა „ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარემ ეკა ლალიაშვილმა.

„ამ კვლევისა და წინა კვლევის, რომელიც ტექინსპექტირებაზე ჩატარდა, მთავარი გზავნილი არის ის, რომ გამონაბოლქვის გზისპირა კონტროლი მოხდეს. სხვა შემთხვევაში, რეფორმა, რომელიც დაიწყო ეკონომიკის სამინისტრომ, ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ შეიძლება დადგეს წლის ბოლოსკენ იმიტომ, რომ ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვხედავთ ავტომობილებს, რომელთაც ეკუთვნით ტექნიკური ინსპექტირება, მაგრამ მათ აქვთ შავი და მუქი ფერის გამონაბოლქვი, რომელიც დღეს რეგლამენტით არის აკრძალული. ეს არის ძალიან სერიოზული და მძიმე სიგნალი იმისა, რომ ტექინსპექტირება ჯერჯერობით ისე ვერ მიმდინარეობს, გამონაბოლქვის თვალსაზრისით, რომ ჰაერის ხარისხის გაუარესება არ გამოიწვიოს ავტოტრანსპორტმა“.

ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება მიმდინარე წლის 1 იანვრიდან სრული დატვირთვით შევიდა ძალაში და ამ პროცესმა გამოაჩინა ის ხარვეზები და პრობლემები, რომლებსაც დღეს ყველა ხედავს. სატრანსპორტო დარგის სპეციალისტი დავით მესხიშვილი სწორედ ამ სისტემის გაუმართაობაზე ამახვილებს ყურადღებას.

„ჩვენ თუ არ ვისაუბრეთ პრობლემებზე, პროცესი წინ ვერ წავა. პრაქტიკულად, ყველა ორგანიზაციის კვლევაში გამოჩნდა, რომ ჰაერის დაბინძურების პრობლემები ტექნიკურად გაუმართავ ავტომობილებზე მოდის, ამავე მიზეზით ხდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები (რომლის სტატისტიკაც სამწუხაროდ არ წარმოებდა). მესამე და ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ხელშეკრულებაში არის შესაბამისი ევროდირექტივები, რომლებიც უნდა დანერგილიყო. ამდენად, ამ საკითხების ერთობლიობით გადაწყდა ინსპექტირების ძალაში შესვლა. უკვე სავალდებულო მოთხოვნაა ავტომობილში კატალიზატორის არსებობა. მსგავსი მოთხოვნების შესრულება დაკავშირებულია ძალიან დიდ ხარჯებთან, მათ შორის ავტომობილში ძრავის საკითხებთან, რაც რამდენიმე ასეული და რიგ შემთხვევებში ათასი და მეტი ლარიც კი ჯდება“, — აღნიშნა დავით მესხიშვილმა.

ჰაერის დაბინძურების გამო სიკვდილიანობის დონით საქართველო მსოფლიოში მე-3 ადგილზეა. ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ავრცელებს და 2016 წელს აშშ-ში, ვაშინგტონის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კვლევას ეყრდნობა.

აუდიტმა თბილისში ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობა შეისწავლა და დაასკვნა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება.

„არ ტარდება ღონისძიებები მოსახლეობის ფართო მასებისთვის ცნობიერების ასამაღლებლად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის აუცილებლობის და დაბინძურებული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შესახებ, რაც განაპირობებს პრევენციული ღონისძიებების ნაკლებობას და საზოგადოების დაბალ აქტიურობას ჰაერის დაცვის კუთხით.“ — ნათქვამია აუდიტის ანგარიშში.

ანგარიშის მიხედვით, თბილისში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო ავტომანქანებია, მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

ბექა დანელია

ფესტივალი „თბილისის ცის ქვეშ“ გაიხსნა

თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და სამგორის რაიონის გამგეობის ორგანიზებით წელს ფესტივალი „ჰუალინგ პარკში“ გაიხსნა.

მრავალფეროვანი საბავშვო პროგრამის ფარგლებში პატარებისთვის გაიმართა სხვადასხვა თამაში, შეჯიბრი და შოუ-პროგრამა. ბავშვების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმატორები, ზღაპრის გმირები და ილუზიონისტი. მსურველებს ბატუტზე თამაშის, საბავშვო კინოჩვენებაზე დასწრების და სახეზე მოხატვის საშუალება ჰქონდათ. ღონისძიების სპეციალური სტუმარი იყო კონტაქტური ზოოპარკი. სტუმრების განწყობაზე დიჯეი და სხვადახვა მუსიკალური ბენდები ზრუნავდნენ, საღამო კი ჯგუფ Loudspeakers-ის კონცერტით დასრულდა.

ნებისმიერ მსურველს სპორტულ აქტივობაში ჩართვისა და პროფესიონალებისგან ინსტრუქტაჟის მიღების საშუალება ჰქონდა. მინი ჩემპიონატებში გამარჯვებულ მონაწილეებს კი სიმბოლურად მედლები და თასები გადაეცათ. ღონისძიებაში ასევე, ჩართული იყო პარა სპორტის ფედერაცია და პარა ფარიკაობის ჩემპიონატიც გაიმართა. ფესტივალის ტერიტორიაზე საგამოფენო სივრცეები და სტარტაპერების კუთხეები იყო წარმოდგენილი.

პროექტის ფარგლებში თბილისის უბნებში ყოველკვირეულად სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული, საბავშვო და საგანმანათლებლო აქტივობა ჩატარდება. ღონისძიებები ივლისის ბოლომდე გაგრძელდება და მასზე დასწრება თავისუფალია.

„პეტრე ოცხელი“ გერმანულად გამოიცა

ბერლინში ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნის „პეტრე ოცხელი“ პრეზენტაცია გაიმართა.

სპეციალურად გამოცემისთვის ტექსტებზე თანამედროვე ქართველმა მწერალმა კოტე ჯანდიერმა იმუშავა, წინასიტყვაობა კი გიორგი კალანდიას, ვლადიმერ ველმინსკის და ვადიმ ზახაროვს ეკუთვნით. წიგნში შესულია 100-ზე მეტი ილუსტრაცია და სხვადასხვა დოკუმენტური მასალა.

ღონისძიება ევროპული კულტურების მუზეუმში გამომცემლობისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა. პრეზენტაციას პეტრე ოცხელის შთამომავალი სალომე ოცხელი დაესწრო.

„საქართველო ღვინის სამშობლო“ პრიზიორია

ძართულმა სამეცნიერო მხატვრულ-დოკუმენტურმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ საფრანგეთში, მარსელში გამართულ ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის ფესტივალზე ფესტივალის პარტნიორთა მიერ დაწესებული მეცნიერებისა და კულტურის სპეციალური პრიზი მიიღო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, პრიზი ტრადიციულად ფრანგულ ან უცხოურ ფილმს გადაეცემა, რომელიც ღვინისა და ვაზის მემკვიდრეობის კულტურულ და მეცნიერულ მიდგომას ან მეთოდს წარმოაჩენს.

მეღვინეობა-მეევენახეობისადმი მიძღვნილი ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის მსოფლიოში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფესტივალი Oenovideo, ყოველწლიურად მარსელის „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციების მუზეუმში“ იმართება. წელს ფესტივალის შესარჩევ ეტაპზე 144 ფილმი მონაწილეობდა, ნომინანტების სიაში კი მათგან მხოლოდ 37, მათ შორის, „საქართველო ღვინის სამშობლო“ მოხვდა.

იყიდება ყველაზე გრძელ-ფრთებიანი თვითმფრინავი

ყველაზე გრძელფრთებიანი თვითმფრინავი იყიდება. ორი ფუზელაჟის მქონე და მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფრთების მქონე თვითმფრინავი Stratolaunch 400 მლნ დოლარად იყიდება. ჰოლდინგური კომპანია Vulcan, რომელიც გარდაცვლილი მილიარდერისა და პროექტ Stratolaunch-ის ინიციატორის პოლ ალენის საკუთრება იყო, დაინტერესებულია რომ Stratolaunch გაყიდოს.



400 მლნ დოლარი ეს არა მხოლოდ თვითმფრინავის ფლობის უფლებაა, არამედ მასზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებაც.

როგორც ცნობილია, თვითმფრინავის ფრთები 117 მეტრია, რაც არსებულ საჰაერო ხომალდებთან შედარებით გრძელია.

თვითმფრინავს საათში 853 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეეძლება და გიგანტის მართვას 3 მფრინავი განახორციელებს.

Stratolaunch-ის ამოცანაა სტრატოსფეროში გაიყვანოს რაკეტა-გადამყვანი, რომელიც 6100 კგ-ს იწონის. რაც შეეხება თავად თვითმფრინავის წონას, ის — 600 ათას ტონას შეადგენს, ხოლო ფრენის დიაპაზონი კი 1500 კმ-ს.

„ტრამპის მაღლობები“

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ გოლანის მაღლობებზე ახალი დასახლების გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

დასახლებას აშშ-ის პრეზიდენტის პატივსაცემად „ტრამპის მაღლობები“ უწოდეს. როგორც ცერემონიაზე ნეთანიაჰუმ განაცხადა, დასახლების გახსნა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის დამსახურებაა, რომელმაც გოლანის მაღლობებზე ისრაელის სუვერენიტეტი აღიარა.

„ეს არის ისტორიული დღე“, — განაცხადა ბენიამინ ნეთანიჰუმ, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას დონალდ ტრამპს ისრაელის მეგობარი უწოდა. დასახლების გახსნის ცერემონიას ისრაელში აშშ-ის ელჩი დევიდ ფრიდმანი ესწრებოდა.

დასახლებაში ჯერ არ არის საცხოვრებელი სახლები, თუმცა უკვე დგას ტრაფარეტი ტრამპის სახელით და ისრაელისა და აშშ-ის დროშებით. მთავრობას დასახლების ასაშენებლად თანხა ჯერ არ გამოუყვია.

შეგახსენებთ, დონალდ ტრამპმა გოლანის მაღლობებზე ისრაელის სუვერენიტეტი 25 მარტს აღიარა. ეს გადაწყვეტილება ევროკავშირმა, არაბული სახელმწიფოების ლიგამ, თურქეთმა, სირიამ, ირანმა, რუსეთმა და სხვა ქვეყნებმა დაგმეს.

გოლანის მაღლობები სირიის დედაქალაქ დამასკოდან 40 კილომეტრში მდებარეობს. რეგიონის ფართობი დაახლოებით ათასი კვადრატული კილომეტრია.

ჰუდინთან წამბაძველობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა

ინდოელი ილუზიონისტი, რომელიც წყალში ჯაჭვებით დაბმული ჩავიდა და ჰარი ჰუდინის ცნობილი ნომრის შესრულება სცადა, სავარაუდოდ დაიღუპა. ამის შესახებ BBC-ი წერს.

ჩანჩალა ლაჰირის მდინარეში ჩასვლით ტანზე მჭიდროდ შეკრული ჯაჭვები უნდა გაეხსნა, თუმცა ის წყლიდან არ ამოსულა. ვარაუდობენ, რომ ის მდინარემ გაიტაცა.

ჩანჩალა ლაჰირი მდინარეში ნავიდან ჩახტა. მის ნომერს ათობით ადამიანი ესწრებოდა.

პოლიციელები და მყვინთავები ილუზიონისტს უწყვეტ რეჟიმში ეძებენ, თუმცა ამ დრომდე გაუჩინარებულად ითვლება. ერთ-ერთი პოლიციელის განცხადებით, ილუზიონისტს გარდაცვლილად ვერ გამოაცხადებენ, ვიდრე მისი გვამი ნაპოვნი არ იქნება.

ფოტოგრაფი, რომელიც პროცესს ესწრებოდა, ჩაყვინთვამდე რამდენიმე წუთით ადრე ილუზიონისტს ესაუბრა და ჰკითხა, თუ რატომ რისკავდა საკუთარ სიცოცხლეს, რაზეც ჩანჩალა ლაჰირმა ასე უპასუხა:

„თუ ყველაფერს სწორად გავაკეთებ ეს იქნება მაგია, და თუ რამე შემეშლება მაშინ — ტრაგიკული შემთხვევა. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის ახალგაზრდებს მაგიის მიმართ ინტერესი გაუჩნდებათ“,- განაცხადა გაუჩინარებულმა ილუზიონისტმა.

ლაჰირი ამ მდინარეში 20 წლის წინაც ჩავიდა, თუმცა მაშინ მდინარეში ჩაძირული მინის ყუთიდან უსაფრთხოდ გამოძვრა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7468; ევრო - 3.0943;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4753;
100 რუბლი - 4.2700; თურქული ლირა - 0.4663;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6155;
1000 სომხური დრამი - 5.7513.

ამინდი 18 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge